

თბილისის
წიგნის
საერთაშორისო
ფესტივალი

Tbilisi 23
International
Book Festival

სერჩევი

- 15 გამომცემლობა „აგორა“
გამომცემლობა „აკადემიური წიგნი“
- 16 გამომცემლობა „ალეფი“
გამომცემლობა „ერატი“
- 17 გამომცემლობა „ერთანუჭი“
გამომცემლობა „ექთი“
- 18 გამომცემლობა „ბაკმი“
გამომცემლობა „ბენდესი“
- 19 წიგნის მაღაზია „ბიბლუსი“
გამომცემლობა „ბიზნესლიტერატურა“ – Harvard Business Review Georgia
- 20 ბუერა – ხელნაკეთი აქსესუარები
წიგნების ონლაინ მაღაზია და სადისტრიბუციო კომპანია ბუქმანია – კეგასი
- 21 წიგნის მაღაზია „ბუქმარკი“ / წიგნები ვაკეში
გამომცემლობა „დიოგენე“
- 22 ელფის გამომცემლობა
წიგნის მაღაზია „ერუდიტი“

- 23 ზვიად კორძაძის გამომცემლობა
გამომცემლობა „ზოლიანი კაბა“
- 24 თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი
თბილისის იუნესკოს ეგრესიის სახელობის ინსტიტუტი
- 25 თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტიზმისტიკისა და
ნეოგრაფიზმისტიკის ინსტიტუტი – პროგრამა ლომოსი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- 26 წიგნების მაღაზია „ინგლის ბუქ ედუკეიშანი“
გამომცემლობა „ინდიგო“
- 27 გამომცემლობა „ინტელექტი“
წიგნების სადისტრიბუციო კომპანია „ირიატონი“
- 28 ი/მ ირინა დენიკინა
გამომცემლობა „კლიო“
- 29 კოსმო – ხელნაკეთი აქსესუარები
პულტუჩულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი
- 30 გამომცემლობა „პარიდიანი“
გამომცემლობა „მცხეთა“
- 31 ნინო.ჯი – ხელნაკეთი აქსესუარები
ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა

სერჩევი

- 32 გამომცემლობა კალიტრა L
გამომცემლობა „კარნასი“
- 33 სათაბაშოების მღაზია „კეკელე“
გამომცემლობა „კოეზია“
- 34 READERSLAND.GE
საგა – საქართველოს აკადემიური გამომცემლობა
- 35 საქართველოს უნივერსიტეტი
სადისტრიბუციო კომპანია „საქნიგნი“
- 36 გამომცემლობა „საზანი“
სულაკაურის გამომცემლობა
- 37 სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
ნიგნის გამავრცელებელი კომპანია „ქართული თარო“
- 38 ქარჩხაძის გამომცემლობა
ნიგნის მღაზია „შაქრო ბაბუა“
- 39 გამომცემლობა „შემეცნება“
გამომცემლობა „ნიგნები ბათუმში“
- 40 გამომცემლობა „ნიგნი+ერი“
ნიგნის გამავრცელებელი კომპანია „ნიგნის სამყარო“

ფესტივალის ორგანიზატორი: საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია



საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გამავრცელებელთა ასოციაცია
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION

ტელ: +995 592 51 83 83
ელ. ფოსტა: info@gpba.ge; dir@gpba.ge
საკონტაქტო პირი: თინათინ ბერიაშვილი
ვებგვერდი: www.gpba.ge

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია 1998 წელს დაარსდა. დღესდღეობით საქართველოში მოქმედ, აქტიურ წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელ ორგანიზაციათა დაახლოებით 90 პროცენტი სწორედ მისი წევრია.

ასოციაცია განსაზღვრავს და იცავს წიგნის სექტორის ინტერესებსა და საავტორო უფლებებს, უზრუნველყოფს ბეჭდვის თავისუფლებას საგამომცემლო სფეროში; მართავს როგორც ადგილობრივ წიგნის ბაზრობებს თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში, ასევე პროფესიულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებს ქართველი გამომცემლებისა და გამავრცელებელი ორგანიზაციებისათვის. ამასთანავე, ასოციაცია უკვე მრავალი წელია მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე და წარადგენს საქართველოს ეროვნულ სტენდს; გამოხატავს სექტორის საერთო ინტერესებს და იცავს მას თავისუფალი ბაზრისა და თანაბარი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით მთელი მსოფლიოს მასშტაბით; იცავს გამოცემის თავისუფლებასა და საავტორო უფლებებს, ხელს უწყობს წიგნის სფეროში დარგის განვითარებისთვის ხელსაყრელი საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და სრულყოფას. ამ დარგში ჩართული პროფესიონალებისთვის სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ასოციაციამ შექმნა პროფესიული ეთიკის კოდექსი და აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას სხვა მნიშვნელოვან საკანონმდებლო ინიციატივებზე.

ასოციაციის უმთავრესი მიზანია ლიტერატურული პროცესისა და საქართველოში საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა; ზრუნვა ნებისმიერი ასაკის ადამიანების, მათ შორის, ბავშვებისა და ახალგაზრდების, წიგნიერების დონის ამაღლებაზე; ლიტერატურასთან დაკავშირებული სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლების ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობა; წიგნის კითხვის პოპულარიზაცია და შესაბამისი სოციალური ინსტიტუტების მხარდაჭერა. ასოციაცია მუდმივად იცავს წიგნის სექტორის წარმომადგენლების ინტერესებს. ასოციაცია წარმოადგენს გამომცემლებს, მათ ინტერესებს და აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან სექტორისთვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხზე, იქნება ეს სააგტორო უფლებები, სასკოლო სახელმძღვანელოები თუ აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივები.

2007 წელს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია გახდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის (International Publishers Association – IPA) წევრი. ასოციაცია წევრია IPA-ს ისეთი მნიშვნელოვანი კომიტეტების, როგორებიცაა აღმასრულებელი, გამომცემის თავისუფლების, ინკლუზიური გამომცემებისა და წიგნიერების კომიტეტები. IPA-სთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, მისი წარმომადგენლები არაერთხელ ეწვივნენ საქართველოს უკანასკნელი წლების განმავლობაში. მათ გამართეს შეხვედრები სექტორისთვის კრიტიკულ საკითხებზე როგორც ადგილობრივ გამომცემლებთან, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან. 2020 წელს, საქართველოში პირველად ჩატარდა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის სახელმძღვანელოების გამომცემელთა მსოფლიო ფორუმი. იგი ერთადერთი გლობალური ფორუმია, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე იკრიბება და აერთიანებს სახელმძღვანელოების პროფესიონალ გამომცემლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოს წიგნის



გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია სახელმძღვანელოების გამო-
მცემელთა მსოფლიო ფორუმის წევრი 2016 წელს გახდა.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორ-
განიზებით, წიგნის სექტორის განვითარებისთვის წლის განმავლობაში არაერთი
მნიშვნელოვანი ტრადიციული და ახალი პროექტი ხორციელდება. მათ შორისაა:
თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი, თბილისის წიგნის საახალწლო
ფესტივალი, წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე, წიგნისა და საავტორო
უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე, საქართველოს რეგიონალური ბიბლი-
ოთეკების წიგნადი ფონდის განახლების პროექტი, საქართველოს ეროვნული
სტენდები საერთაშორისო წიგნის ბაზრობებზე, 2018 წლის „ფრანკფურტის წიგ-
ნის ბაზრობის საპატიო სტუმარი – საქართველო“. მიმდინარე წელს ასოციაციამ
განახორციელა თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების ვაუნერიზაციის
პროექტი, რომელიც 2020-2021 წლებში ორ ეტაპად ჩატარდა და თბილისის ყვე-
ლა საჯარო სკოლა მოიცვა. ამას გარდა, ასოციაციამ სარეზიდენციო პროგრამა
შესთავაზა ქართველ მწერლებს. პროგრამის მიზანია ავტორთა მოტივაციის გა-
ზრდა, ნაყოფიერი სამუშაო პროცესისა და შემოქმედებითი საქმიანობის წარმა-
რთვაა, რის შედეგადაც, მომავალი წლის აპრილამდე, შეიქმნება და გამოიცემა
სრულიად ახალი ლიტერატურული ნამუშევრები. 2021 წლის შემოდგომაზე სა-
ქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია გეგმავს
ქართველი ავტორების შეხვედრებს მოსწავლეებთან და სტუდენტებთან საჯარო
სკოლებსა და უნივერსიტეტებში.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მხა-
რდამჭერები და პარტნიორი ორგანიზაციები არიან: საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, მწერალთა სახლი, თბილისის მე-
რია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს პენ-
ცენტრი, თიბისი ბანკი, იურიდიული კომპანია LBP.

ჩვენ დავხრუნდით! ერთწლიანი განშორების შემდეგ თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი ტრადიციული შეხვედრის ადგილას გელით

უდიდესი ტრადიციის მქონე თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალისთვის 2020 წელი გამოწვევებით აღსავსე აღმოჩნდა, 22-ე ფესტივალმა ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა და სრულიად ახალ ფორმატში წარსდგა მკითხველის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ძალზე განსხვავებულმა წელმა, ჩვენს ტრადიციულ მონაწილეებთან და ერთგულ მკითხველებთან იძულებითი დისტანცირებით, ჯერ დაგვამწუხრა და შემდეგ ოდნავ შეგვაშინა კიდეც, საბოლოოდ მაინც ბევრი ახალი რამ შეგვამეცნა და დაგვარწმუნა, რომ ეს უნიკალური გამოცდილება ჩვენს ფესტივალს სამომავლოდ ბევრად მრავალფეროვანსა და მასშტაბურს გახდის. თუმცა, გამოგიტყდებით, გასულმა წელმა კიდეც უფრო მოგვანატრა თქვენთან შეხვედრა. ამდენად გვსურს, რომ ყველას გაგიზიაროთ ჩვენი სიხარული და თამამად გითხრათ, რომ ერთწლიანი განშორების შემდეგ თბილისის წიგნის 23-ე საერთაშორისო ფესტივალი, ოდნავ არატრადიციულ დროს, თუმცა ტრადიციულ და ყველასთვის საყვარელ შეხვედრის ადგილას, ისევ ბრუნდება! მაშ ასე, 2021 წლის 24-27 ივნისს, ფესტივალი წიგნის მოყვარულებს კვლავაც „ექსპო ჯორჯიაში“ უმასპინძლებს.



2021 წლის ფესტივალი დამთვალიერებლებს განსაკუთრებული სიხარულითა და მრავალფეროვანი ღონისძიებებით დატვირთული პროგრამით შეეგებება. პანდემიით გამოწვეული ერთწლიანი პაუზის შემდეგ ფესტივალი ტრადიციულ, ფიზიკურ ფორმატს უბრუნდება: 50-ზე მეტი მონაწილე (მათ შორის გამომცემლობები, წიგნის გამავრცელებლები, უნივერსიტეტები და წიგნთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები); 100-მდე ღონისძიების 100-ზე მეტი მონაწილე მწერალი,

მთარგმნელი, გამომცემელი, ლიტერატორი და ხელოვანი ფესტივალის მთავარ სცენაზე; ტრადიციული, განსაკუთრებული პროგრამა პატარებისათვის განკუთვნილ სპეციალურ საბავშვო სივრცეში ფესტივალის მეგობარ „თიბისისთან“ ერთად – ეს ყოველივე არასრული ჩამონათვალია იმ აქტივობებისა, რომლებიც წელს „ექსპო ჯორჯიაში“ გელით.

2021 წელი განსაკუთრებულია იმიტაც, რომ გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია (International Publishers Association – IPA) 125 წლისთავს აღნიშნავს. IPA ჯერ კიდევ 1896 წელს დაარსდა და უკვე საუკუნეზე მეტია ხელს უწყობს საგამომცემლო სფეროს პოპულარიზებას, მხარს უჭერს საავტორო უფლებების დაცვას, წიგნიერების გავრცელებასა და გამოცემის თავისუფლებას, წარმოადგენს საგამომცემლო ინდუსტრიის ინტერესებს საერთაშორისო დონეზე. სწორედ IPA-ს 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი მონვეულ სტუმრებსა და ერთგულ დამთვალიერებელს ისტორიულ ონლაინ ღონისძიებას წარუდგენს, რომლის ფარგლებშიც, მსოფლიო ასოციაციის სხვადასხვა დროის ოთხი პრეზიდენტი ერთ სივრცეში მოიყრის თავს და განიხილავს მსოფლიო საგამომცემლო სფეროსათვის საკვანძო თემებს. ფესტივალის სტუმრებს ოფიციალურ გახსნაზე ვიდეო მიმართვით მიესალმება გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი, ბოდურ ალ ქასიმი, რომელიც თბილისს აპრილის თვეში ასოციაციის გენერალურ მდივანთან, ხოსე ბორგინოსთან ერთად ეწვია. მათ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის წევრ ორგანიზაციებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2021 წელს, არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფმა, ღონისძიების ტრადიციულ ფორმატში დასაბრუნებლად, შეიმუშავა უსაფრთხოების საგანგებო პროტოკოლი და ყველა შეზღუდვის მკაცრად გასაკონტროლებლად დამატებითი სამუშაოები ჩაატარა. ფესტივალზე სტუმრობის მსურველთათვის, პავილიონებში მოსული დამთვალიერებლების ნაკადების გასაკონტროლებლად, საჭირო გახდა რეგისტრაცია თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის სრულიად ახალ ვებგვერდზე: www.tbilisibookfestival.ge

აღნიშნულ საიტზე მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს დეტალურად გაეცნოს ფესტივალის პროგრამას და მიიღოს სხვა მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია ფესტივალის შესახებ. რიგით 23-ე ფესტივალი ჰიბრიდული ფორმატით

ხორციელდება და ფიზიკური ღონისძიების პარალელურად, მომხმარებლებს, სურვილის შემთხვევაში, წიგნების შეძენა, აღნიშნულ ვებ გვერდზე, საფესტივალო ფასებად ონლაინ რეჟიმშიც შეეძლება.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი ყოველწლიურად „ექსპო ჯორჯიას“ პავილიონებში იმართება, თუმცა, 2020 წელს რიგით 22-ე ფესტივალი, კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე, ვირტუალურ რეჟიმში ჩატარდა. ახალი ფორმატის მიუხედავად, ფესტივალი ტრადიციული ფორმატითა და განახლებული პროგრამით წარდგა, წიგნების ონლაინ გამოფენა-გაყიდვა კი დიდი წარმატებით განხორციელდა.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი 1997 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და კავკასიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი წიგნის ფესტივალია, რომელსაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ათასობით გულშემოტკივარი და დამთვალიერებელი ჰყავს.

ფესტივალის მთავარი მიზანია საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზება, წიგნის ბაზრის რეგიონალიზაცია და საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა. წლების მანძილზე თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში წიგნიერების დონის ამაღლებას წარმატებით ართმევს თავს, რაზეც მიაწიშნებს ფესტივალის დამთვალიერებლების, მასმედიისა და ახალი მონაწილეების მზარდი რაოდენობა. ფესტივალს ყოველწლიურად 100 000-მდე დამთვალიერებელი სტუმრობს, მონაწილეობს 200-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ადგილობრივ და უცხოურ გამომცემლობებთან ერთად წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები, სახელმწიფო მუზეუმები, ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები. ფესტივალს წლების განმავლობაში საპატიო სტუმრის სტატუსით სტუმრობენ მწერლები სხვადასხვა ქვეყნიდან.



2017 წელს ფესტივალს პირველად ჰყავდა ფოკუს ქვეყანა – ნორვეგია, რომელმაც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრის სტატუსი 2018 წელს საქართველოსგან გადაიბარა. ფოკუს ქვეყნები სხვადასხვა წლებში იყვნენ გერმანია (2018) და ფინეთი (2019). 2020 წლის ფოკუს ქვეყნის სტატუსი თურქეთს მიენიჭა. პანდემიიდან გამომდინარე, აღნიშნული სტატუსით იგი 2022 წლის ფესტივალზე ისარგებლებს. მიუხედავად ამისა, თურქეთის ფოკუს ქვეყნის პროექტის საორგანიზაციო ჯგუფი მცირე დელეგაციით ეწვევა წლებანდელ ფესტივალს და ოფიციალური გახსნის ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ძირითადი ნაწილი წიგნის ბაზრობაა, რომლის ფარგლებშიც მონაწილე გამომცემლობები და გამავრცელებელი ორგანიზაციები სტუმრებს წიგნებს, დამხმარე მასალებსა და წიგნის აქსესუარებს განსაკუთრებული ფასდაკლებით, სპეციალური სასაჩუქრე პაკეტების სახით სთავაზობენ. ამასთანავე, ფესტივალის წიგნთან, ლიტერატურასთან, სამწერლო და საგამომცემლო საქმიანობასთან დაკავშირებულ არაერთ ღონისძიებას აერთიანებს: ახალი წიგნების პრეზენტაცია და ავტორების წარდგენა, საჯარო კითხვა, შეხვედრა და დისკუსია ავტორებთან, საპატიო სტუმრის წარდგენა, ლიტერატურული დაჯილდოება, პროფესიული სემინარები და კონფერენციები, ინოვაციური პროექტები, როგორცაა „მსახიობები ლიტერატურისათვის“. ფესტივალზე ყოველწლიურად ეწყობა საბავშვო კუთხე, იგეგმება შემეცნებით-გასართობი პროგრამები სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის. ფესტივალის ფარგლებში იმართება ილუსტრაციებისა და წიგნების გამოფენა.

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის მხარდამჭერები არიან თბილისის მერია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და მწერალთა სახლი. ფესტივალის მეგობარია თიბისი.



გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია

თბილისის წიგნის 23-ე საერთაშორისო ფესტივალზე



გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის შესახებ

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია (IPA) გამომცემელთა ასოციაციების ყველაზე დიდი ფედერაციაა მთელ მსოფლიოში და 71 ქვეყნის 86 წევრს აერთიანებს. გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია 1896 წელს დაარსდა და იგი ადამიანის უფლებების მანდატით აღჭურვილი პროფესიული საზოგადოებაა. 2021 წელს ასოციაცია 125 წლისთავს აღნიშნავს. საუკუნეზე მეტია ემ-

სახურება საგამომცემლო სფეროს დაცვასა და ხელშეწყობა, ასევე, საგამომცემლო საქმის, როგორც ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების ძალის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციასთან (WIPO) და უამრავ სხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის საშუალებით, გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია იღვწის წიგნისა და საგამომცემლო საქმის დასაცავად როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაცია აქტიურად ეწინააღმდეგება ცენზურას და მხარს უჭერს საავტორო უფლებების დაცვას, გამოცემის თავისუფლებას (მათ შორის, IPA Prix Voltaire-ის საშუალებითაც) და წიგნიერების დონის ამაღლებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.



ბოდურ ალ ქასიმი

არაბთა გაერთიანებული საამიროები

IPA-ს პრეზიდენტი 2021 წლიდან დღემდე

ბოდურ ალ ქასიმი გახლავთ საბავშვო საგამომცემლო სახლის Kalimat Group-ის დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი, არაბთა გაერთიანებული საამიროების გამომცემელთა ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. 2014 წელს მან „ფორბსის“ სიაში „200 ყველაზე ძლიერი არაბი ქალი საოჯახო ბიზნესში“ 34-ე ადგილი დაიკავა. 2020 წლის ნოემბრის თვეში გამართულ გამომცემელთა

მსოფლიო ასოციაციის გენერალური ასამბლეაზე, რომელშიც მონაწილეობას 84 წევრი იღებდა, იგი მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს. ბოდურ ალ ქასიმი თბილისის პრეზიდენტის სტატუსით 2021 წლის აპრილის თვეში, ასოციაციის გენერალურ მდივანთან, ხოსე ბორგინოსთან, ერთად ესტუმრა. მათ სამუშაო შეხვედრა გამართეს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის წევრ ორგანიზაციებთან, სადაც განიხილეს საგამომცემლო სფეროს საკვანძო საკითხები და სამომავლო პერსპექტივები.



ჰიუგო ბეტცერი

ესპანეთი

IPA-ს პრეზიდენტი 2019-2021 წლებში

ჰიუგო ანდრეას ბეტცერი 1990 წლიდან მოყოლებული მედიცინისა და ფსიქოლოგიის დარგში წამყვანი ესპანურენოვანი გამომცემლობის, Manual Moderno-ს, აღმასრულებელი დირექტორია. კომპანიის სათავე ოფისი მეხიკოშია, ხოლო მისი ფილიალები კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში. ბეტცერი გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი გახლდათ

2019-2021 წლებში. მანამდე იგი 10 წლის განმავლობაში ასოციაციაში აღმასრულებელი კომიტეტის წევრისა და ვიცე პრეზიდენტის თანამდებობებზე მუშაობდა. ჰიუგო ბეტცერი იყო მექსიკის გამომცემელთა ასოციაციის, სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო გამომცემლების საერთაშორისო ასოციაციის (STM) და ნამუშევრების რეპროდუცირების უფლების ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFRRO) აღმასრულებელი საბჭოს წევრი. იგი ასევე გახლავთ მექსიკის კოლექტიური მართვის ორგანიზაციის, CeMPro-ს დამფუძნებელი თავმჯდომარე. ჰიუგო ბეტცერი საქართველოში 2019 წელს იმყოფებოდა. თბილისის წიგნის 21-ე საერთაშორისო ფესტივალი სწორედ მან, IPA-ს უმაღლესი რანგის დელეგაციის წარმომადგენლებთან ერთად, გახსნა.



მიქაელ კოლმანი

ჰოლანდია

IPA-ს პრეზიდენტი 2017-2019 წლებში

მიქაელ კოლმანი გამომცემლობა „ელსევიერის“ ინფორმაციული ინდუსტრიის ურთიერთობების უფროსი ვიცე პრეზიდენტი და ამავე ორგანიზაციის აკადემიური ელჩია. იგი გახლდათ გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი 2017-2019 წლებში და IPA-ს სპეციალური წარმომადგენელი მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის საკითხებში. კოლმანი

აგრეთვე გახლავთ წიგნების ხელმისაწვდომობის კონსორციუმის ვიცე-თავმჯდომარე, მუშაობს ბეჭდური მედიის ხელმისაწვდომობაზე შუამავლობისათვის. კოლმანი 1995 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა წამყვან პოზიციაზე ამსტერდამისა და ტოკიოში მდებარე საგამომცემლო ორგანიზაციებში. მან 1996 წელს გამოუშვა ერთ-ერთი პირველი ონლაინ ჟურნალი: ახალი ასტრონომია. მიქაელ კოლმანი გახლდათ „ელსევიერის“ აღმასრულებელი დირექტორი ფრანკფურტში, გერმანიაში.



რიჩარდ ჩარკინი

დიდი ბრიტანეთი

IPA-ს პრეზიდენტი 2015-2017 წლებში

რიჩარდ ჩარკინს წამყვანი თანამდებობები ეკავა Pergamon Press-ში, Oxford University Press-ში, Reed International/Reed Elsevier-ში. იგი ასევე გახლავთ „მაკმილანის“ გამომცემლობის ყოფილი მთავარი აღმასრულებელი დირექტორი. 2015 წელს ჩარკინი მსოფლიო გამომცემელთა ასოციაციის პრეზიდენტი გახდა, 2007 წლიდან 2018 წლამდე

კი იგი იყო გამომცემლობა ბლუმსბერის ჩინეთის ოფისის აღმასრულებელი დირექტორი. ჩარკინი გახლავთ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრი, კითხულობს ლექციებს საგამომცემლო სფეროს შესახებ ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯსა და ლონდონის ხელოვნების უნივერსიტეტში. ჩარკინი აგრეთვე ფლობს მაგისტრის ხარისხს ბუნებისმეტყველებაში.



ანა მარია კაბანელასი

არგენტინა

IPA-ს პრეზიდენტი 2004-2008 წლებში

ბუენოს აირესის ეროვნული უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ანა მარია კაბანელასმა კარიერა იურისტად დაიწყო. რამდენიმე წლის მანძილზე იგი იურიდიულ ფირმაში მუშაობდა, მოგვიანებით კი საოჯახო საგამომცემლო კომპანიაში განაგრძო მოღვაწეობა. 1979 წელს იგი გახდა საგამომცემლო ჯგუფის, „კლარიდადის“ პრეზიდენტი, რომლის

საგამომცემლო პრიორიტეტებია იურიდიული ლექსიკონები, მხატვრული ლიტერატურა, ფილოსოფია და ისტორია. 2006 წელს კაბანელასმა დააარსა საბავშვო ამომცემლობა UnaLuna, მისი ავტორობით გამოცემულია რამდენიმე წიგნი და ხშირად მუშაობს იურიდიული ლექსიკონების განახლებაზე. ანა მარია კაბანელასი გამომცემელთა მსოფლიო პრეზიდენტი გახლდათ 2004-2008 წლებში. 2012 წელს ბუენოს-აირესის წიგნის ბაზრობამ იგი ესპანური საგამომცემლო სფეროს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პირად დაასახელა.

თბილისის წიგნის 23-ე საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეები



გამომცემლობა „აგორა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: თარგმნილი
ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ეკატერინე ჩაჩხიანი,
მარინა ბალაგაძე
უფლებების მენეჯერი: მარინა ბალაგაძე,
ეკატერინე ჩაჩხიანი
მისამართი: უზნაძის ქ. N2; თბილისი,
საქართველო
ტელ: 555541900
ელ. ფოსტა: contact@agorabooks.ge
ვებ-გვერდი: <http://agorabooks.ge/ka>

გამომცემლობა „აგორა“ დაარსდა
2006 წელს. მას შემდეგ აგორას 200-
მდე წიგნი აქვს გამოცემული. მისი
ძირითადი პრიორიტეტია ქართულად
თარგმნილი უცხოენოვანი ლიტერატურა
– მხატვრული ნაწარმოებები,
ფილოსოფიური, სოციოლოგიური
ხასიათის ესეები, დოკუმენტური პროზა,
საბავშვო ლიტერატურა; გამომცემლობა
აგორას დირექტორს, მარინა ბალაგაძეს
საფრანგეთის მთავრობამ 2021 წელს
„აკადემიური პალმის რტოს ორდენის“
ოფიცრის წოდება მიანიჭა.



გამომცემლობა „აკადემიური წიგნი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: სამეცნიერო
ლიტერატურა, შემეცნებითი სამაგიდო
თამაშები (MAKOTO–ს თამაშები)
საკონტაქტო პირი: მაია ღამბაშიძე
უფლებების მენეჯერი: მაია ღამბაშიძე
მისამართი: ქ. თბილისი 0179, ირ. აბაშიძის 16
ტელ: +995 599960904
ელ. ფოსტა: acadbookinfo@gmail.com
ვებ-გვერდი: <http://acad.ge/>

გამომცემლობა „აკადემიური წიგნი“ ეწევა
ქართული სამეცნიერო ლიტერატურის
პოპულარიზაციას. ასევე ამზადებს
შემეცნებით სამაგიდო თამაშებს
(MAKOTO-ს თამაშები).



გამომცემლობა „ალეფი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: თარგმნილი
ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ბექა სამუკაშვილი
უფლებების მენეჯერი: ბექა სამუკაშვილი
მისამართი: ი.ხვიჩიას, 5; თბილისი
ტელ: +995 571301252
ელ. ფოსტა: aleph.publishing@gmail.com

გამომცემლობა „ალეფი“ დაარსდა 2013 წელს. ძირითადად, გამოსცემს უცხო ენებიდან თარგმნილ მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურას.



გამომცემლობა „არეტი“

გამომცემლობა „არეტი“
საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული და
დოკუმენტური პროზა
საკონტაქტო პირი: გიორგი დარსალია
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N 25, თბილისი,
საქართველო
ტელ: +995 322 25-02-55
ელ. ფოსტა: Gdarsalia@gmail.com

გამომცემლობა „არეტი“ დაარსდა 2003 წელს. მას შემდეგ არეტეს 50-ზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული, მათ შორის მხატვრული, საბავშვო და მეცნიერული ლიტერატურა. ამჟამად „არეტეს“ საგამომცემლო პრიორიტეტებია: ოთარ ჭილაძის ნაწარმოებების სრული კრებული; მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის თარგმანები სერიით „აუცილებელი საკითხავი“; ჯორჯ მარტინის ეპოპეა „ყინულისა და ცეცხლის სიმღერა“.



გამომცემლობა „არტანუჯი“

საკონტაქტო პირი: ზვიად კვარაცხელია
მისამართი: ქავჭავაძის გამზირი N 5;
თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 25-05-22
ელ. ფოსტა: info@artanuji.ge; zviad.kvaratskhelia@gmail.com
ვებგვერდი: <http://artanuji.ge/>

გამომცემლობა „არტანუჯი“ 2000 წელს დაარსდა. გამომცემლობის ძირითადი მიმართულებაა საისტორიო-სამეცნიერო თემატიკა. საისტორიო მიმართულების პარალელურად, „არტანუჯი“ გამოსცემს მხატვრულ, შემეცნებით, პოლიტიკურ ლიტერატურას, პოპულარულ ადამიანთა ავტობიოგრაფიებს, ლექსიკონებს და სხვ. „არტანუჯი“ ლიდერია ღია ბარათების მრავალფეროვნებისა და ხარისხის თვალსაზრისით.



გამომცემლობა „აქტი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ფილოსოფიური ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: გიზო ცაცუა
უფლებების მენეჯერი: გიზო ცაცუა
მისამართი: რუსთაველის გამზ, 16; თბილისი
ტელეფონი: 591922123
ელ. ფოსტა: akti.publishing@gmail.com; filosoph199@gmail.com
ვებგვერდი: <http://akti.ge/>

გამომცემლობა „აქტი“ დაარსდა 2019 წელს. გამომცემლობის მიზანია ხელი შეუწყოს ფილოსოფიური, მეცნიერული აზროვნების განვითარებას. გამომცემლობა ძირითადად მუშაობს ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, თეოსოფიური და თეოლოგიური წიგნების გამოცემაზე. გამომცემლობას უკვე გამოცემული აქვს 20-ზე მეტი წიგნი. გამომცემლობის მიერ გამოცემულია ცნობილი გერმანელი, ებრაელი, რუსი, დანიელი, ინდოელი, ინგლისელი და ქართველი ფილოსოფოსების წიგნები.



გამომცემლობა „ბაკმი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ქართული პროზა, საბავშვო და საყმაწვილო წიგნები საკონტაქტო პირი: რუსუდან მოსიძე
უფლებების მენეჯერი: რუსუდან მოსიძე
მისამართი: დიდმის მასივი, რობაქიძის გამზირი N7, თბილისი
ტელეფონი: +995 322 72 54 99; +995 597 75 65 35
ელ. ფოსტა: bakmipublishing@gmail.com
ვებგვერდი: <http://bakmi.ge/>

გამომცემლობა „ბაკმი“ შეიქმნა 2000 წელს. ამ ხნის განმავლობაში გამომცემლობამ განახორციელა არაერთი საინტერესო ლიტერატურული პროექტი. ბოლო სამი წელია „ბაკმი“ წარმატებით გამოსცემს ქართულ რარიტეტულ წიგნებს. კერძოდ: „წმინდაი ოთხთავი“, წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“, ომარ ხაიამი „რობაიები“ და სხვ. ძირითადი საგამომცემლო მიმართულებებია: ქართული პროზა, საბავშვო და საყმაწვილო წიგნები.



გამომცემლობა „ბენდესი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: თანამედროვე ქართველი მწერლები, ძველი წიგნების რეპრინტი, თარგმანები, საბავშვო ლიტერატურა და სამაგიდო თამაშები.
საკონტაქტო პირი: მაკა შალამბერიძე
უფლებების მენეჯერი: მაკა შალამბერიძე
მისამართი: ამბერკი ტაბიძის #41
ტელეფონი: +995 577 54 00 16
ელ. ფოსტა: bendesbooks@gmail.com
ვებგვერდი: <https://www.facebook.com/BendesPublishing>

გამომცემლობა ბენდესი დაარსდა 2017 წელს. ძირითადი მიმართულება თანამედროვე ქართველი ავტორების აღმოჩენა და პოპულარიზაცია. 2020 წელს, „ბენდესის“ მიერ გამოცემული მოთხრობების კრებული საქართველოში ყველაზე პოპულარული ლიტერატურული პრემიის – საბას ფინალისტებს შორის იყო. გამომცემლობას აქვს სერია „მივიწყებული წიგნების თარო“ რომლის ფარგლებშიც ახორციელებს ბევრისთვის საყვარელი, მაგრამ უკვე დიდი ხნის წინ გამოცემული და წიგნის მაღაზიების თაროებიდან გამქრალი წიგნების რეპრინტს განახლებული დიზაინით.



წიგნის მაღაზია „ბიბლუსი“

მისამართი: თბილისი, იოსებოძის ქ. №49
საკონტაქტო პირი: ზურა კვირიკაშვილი
ტელეფონი: +995 032 248 68 44
ელ. ფოსტა: marketing@biblusi.ge
ვებგვერდი: <http://www.biblusi.ge/>

წიგნების მაღაზიათა ქსელმა „ბიბლუსი“, არსებობის 13 წლის მანძილზე, შეძლო შეეცმნა საქართველოში საგამომცემლო პროდუქტების ყველაზე ფართო სავაჭრო ქსელი, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და სარგებლობს მრავალრიცხოვანი მომხმარებლის დამსახურებული ნდობით. აღსანიშნავია, რომ „ბიბლუსში“ წიგნებთან ერთად წარმოდგენილია სასკოლო-საკანცელარიო ნივთების მრავალფეროვანი ასორტიმენტი, ხელსაქმის მასალები, სათამაშოები, წიგნისა და ელ.აქსესუარები. დღეისათვის ბიბლუსი აერთიანებს 67 ფილიალს მთელი ქვეყნის მასშტაბით. „ბიბლუსის“ მიზანია გახადოს წიგნი ხელმისაწვდომი საქართველოს ყველა კუთხეში და ხელი შეუწყოს ქვეყანაში წიგნიერების დონის ამაღლებას.

გამომცემლობა „ბიზნესლიტერატურა“ – Harvard Business Review Georgia

საგამომცემლო პრიორიტეტი:
ბიზნესლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ნათია ლურსმანაშვილი
უფლებების მენეჯერი: ნათია ლურსმანაშვილი
მისამართი: ა. პოლიტკოვსკაიას 3, ბლოკი 6, სართული 1
ტელეფონი: +995 599 14 77 08
ელ. ფოსტა: nalurs@gmail.com
ვებგვერდი: <https://www.facebook.com/hbrgeorgia>

გამომცემლობა „ბიზნესლიტერატურა“ 2017 წლიდან გამოსცემს Harvard Business Review Press-ის ბიზნესლიტერატურას ქართულ ენაზე. გამომცემლობის მიზანია მკითხველს ქართულ ენაზე მიაწოდოს წამყვანი სპეციალისტების მიერ შექმნილი ლიტერატურა, რაც თანამედროვე ბიზნესგარემოს განვითარებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

20/21

The logo for Buera, featuring the word "Buera" in a black, handwritten-style script on a white rectangular background.

ბუერა – ხელნაკეთი აქსესუარები

საკონტაქტო პირი: თეონა ბაკურაძე
ტელეფონი: 593 90 41 94; 551 70 66 00
ელ. ფოსტა: Buerahandmade@gmail.com
ვებგვერდი: <https://www.facebook.com/BueraHandmadeAccessories>

ბუერას ისტორია იწყება 2012 წლიდან. თავიდან ექსპერიმენტულად ვმუშაობდით. შემდეგ ჰერბარიუმის და მეტალის შეხამების ტექნიკა აღმოვაჩინეთ. დავიწყეთ სამკაულების შექმნა ბუნების საჩუქრებით. ყვავილებს ვაგროვებთ: მინდვრებში, მთაში, სოფლად. სადაც კი წავალთ თან მიგვაქვს წიგნები და იქიდან მცენარეებს ვიმგზავრებთ. პატივისცემით, ფრთხილად ვაგროვებთ პაწია საოცრებებს. შემდეგ მოგვაქვს სახელოსნოში, კომპოზიციებს ვქმნით და ჩარჩოებში ვაბუდებთ, ფოტოებს ვუღებთ და ვამზეურობთ. ამ პროცესში მთელი ოჯახი და მეგობრები ვართ ჩართული და ყოველი ეტაპი ძალიან სასიამოვნოა. შეფუთვაც ხელით იქმნება. სტიკერები, საინტერესო შტამპები, კონვერტები, ხელით შეკერილი ქისები განსაკუთრებულს ხდის საჩუქარს. ჩვენი ფეისბუკ და ინსტაგრამ გვერდი (Buera.ge; #buerahandmade), რამდენიმე გემოვნებიანი გალერეა თბილისში, ქუჩის მარკეტები და წიგნის ფესტივალი ის ადგილებია, სადაც ბუერას პოვნა შეგიძლიათ.



ბუქმანია – კავასი წიგნების ონლაინ მაღაზია და სადისტრიბუციო კომპანია

საკონტაქტო პირი: მარინე ცხადაია
უფლებების მენეჯერი: ანა კვინიკაძე
მისამართი: ედიშერ მაღალაშვილის ქ. N5,
თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 592 12 08 15; +995 597 02 90 34
ელ. ფოსტა: bookmaniadistribution@gmail.com
ვებგვერდი: <https://bookmania.ge/>

წიგნების სადისტრიბუციო კომპანია „ბუქმანია – Bookmania“ 2017 წლიდან უზრუნველყოფს წიგნების დისტრიბუციას საქართველოს მასშტაბით. ამ ეტაპზე, კომპანიის საიტზე შეხვდებით შემდეგი გამომცემლობის წიგნებს: „პეგასი“ და „საქართველოს მაცნე“. ბუქმანია ნებისმიერი გემოვნებისა და ასაკის მკითხველს გაძლევთ საშუალებას სახლიდან გაუსვლელად აარჩიოთ თქვენთვის სასურველი წიგნები და მიიღოთ ისინი უმოკლეს ვადაში. ბუქმანია მკითხველებს წიგნებს საგამომცემლო ფასად სთავაზობს. საცალო გაყიდვებს ემსახურება კომპანიის ოფისი: მისამართი: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. #5



წიგნის მაღაზია – ბუქმარკი / წიგნები ვაკეში

საგამომცემლო პრიორიტეტი: სამხატვრო ალბომები, არქიტექტურა, დიზაინი, ფოტოგრაფია, მოდა, ენციკლოპედიები, მხატვრული, სამეცნიერო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული ლიტერატურა, ლექსიკონები
საკონტაქტო პირი: დავით ჯვარჭიშვილი
უფლებების მენეჯერი: დავით ჯვარჭიშვილი
მისამართი: არაყიშვილის ქ. 5 ქ. თბილისი საქართველო 0179
ტელეფონი: 0322 989 266; +995 595 563383
ელ. ფოსტა: davidjvarsheishvili@gmail.com
ვებგვერდი: <https://www.facebook.com/bookmarkbooksinvake>

ბუქმარკი წიგნები ვაკეში – ყველა საჭირო წიგნი ერთ მაღაზიაში. წიგნის მაღაზია, სადაც წარმოდგენილია ცნობილი გამომცემლობების ილუსტრირებული ალბომები: მხატვრობა, არქიტექტურა, დიზაინი, მოდა, კინო და ფოტოხელოვნება, ასევე ევროპული ხარისხის სამხატვრო და საკანცელარიო პროდუქცია ფართო არჩევანით ქართული, ინგლისური, გერმანული და რუსული გამომცემლობების მხატვრული, სამეცნიერო და შემეცნებითი, ბიოგრაფიული ლიტერატურის, ენციკლოპედიები და ლექსიკონები. მაღაზია თანამშრომლობს გამომცემლობებთან: Taschen, Annespublishing, Wordsworth, Prestel, Braun, DK, Penguin, Hatjeclatz, ANACONDA, ACT, АЗБУКА, ЭКСМО და ა.შ. მაღაზია „ბუქმარკი წიგნები ვაკეში“ ორიენტირებულია მკითხველის მოთხოვნაზე, იღებს კერძო შეკვეთებს და ცდილობს, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე უცხოეთიდან უზრუნველყოს სასურველი წიგნებისა თუ სამხატვრო მასალების მოწოდება.

გამომცემლობა „დიოგენე“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული ლიტერატურა, საგანმანათლებლო ლიტერატურა საკონტაქტო პირი: მეგი რუსია
მისამართი: აფაქიძის ქ. N 9; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 21 33 21
ელ. ფოსტა: adm@diogene.ge;
sales@diogene.ge
ვებგვერდი: <https://www.diogeneshop.ge/>

გამომცემლობა „დიოგენე“ 1995 წელს შეიქმნა და ერთ-ერთი პირველია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ამ დროის განმავლობაში ასობით სხვადასხვა ჟანრის წიგნი გამოიცა. მათ შორის არის მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების და თანამედროვე მწერლების საუკეთესო ნაწარმოებების თარგმანები, ქართული და ნათარგმნი საბავშვო ლიტერატურა, სამეცნიერო და სასწავლო წიგნები, XX და XXI საუკუნის ქართველი მწერლების გამოცემები.



ელფის გამომცემლობა

საგამომცემლო პრიორიტეტი: საბავშვო ლიტერატურა
 საკონტაქტო პირი: თინათინ დიდებულიძე
 უფლებების მენეჯერი: ლეილა კირთაძე
 მისამართი: კარტოზიას ქ. N8. კორპუსი N9, მე-2 სართული; თბილისი, საქართველო
 ტელეფონი: +995 322 92 35 70; +995 599 36 53 73
 ელ. ფოსტა: office@elf.ge; adm@elf.ge
 ვებგვერდი: <http://elf.ge/>

„ელფის“ გამომცემლობა 1996 წლის მარტში დაარსდა. მისი დამფუძნებელი პროფესიით ჟურნალისტი და მთარგმნელი თინათინ დიდებულიძე გახლავთ. „ელფის“ გამომცემლობა თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ და უმსხვილეს გამომცემლობებთან, ასევე ყოველწლიურად წარმოდგენილია ფრანკფურტის (გერმანია) წიგნის და ბოლონიის (იტალია) საბავშვო წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე. დღესდღეობით „ელფის“ გამომცემლობა ერთ-ერთი წამყვანი გამომცემლობაა საქართველოში. საგამომცემლო პრიორიტეტები: მხატვრული, საბავშვო, სამეცნიერო-პოპულარული და საგანმანათლებლო.



წიგნების მაღაზია „ერუდიტი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, კულტუროლოგიური, ენათმცოდნეობისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლიტერატურა.
 საკონტაქტო პირი: ლარისა ტადტაგვი
 მისამართი: ნუცუბიდის ქ. N16; თბილისი, საქართველო
 ელ. ფოსტა: imedi50@rambler.ru

კომპანია თანამშრომლობს 30-ზე მეტ წამყვან რუსულ გამომცემლობასთან. მაღაზიაში ძირითადად წარმოდგენილია ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, კულტუროლოგიური, ენათმცოდნეობისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლიტერატურა. ასევე აქვს მხატვრული ლიტერატურის დიდი არჩევანი. მიიღება წინასწარი შეკვეთები ნებისმიერი თემატიკის ლიტერატურაზე.



ზვიად კორძაძის
გამომცემლობა



ზვიად კორძაძის გამომცემლობა

გამომცემლობა „ზოლიანი კაბა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: იურიდიული პროფილის – სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, ნათარგმნი და სხვა სახის ლიტერატურის გამოცემა.

დირექტორი: ელენე ჩომახიძე
მისამართი: ქავთარაძის ქ. N44 ბლოკი „A“, პირველი სადარბაზო, I-II სართული
ტელეფონის ნომერი: (+995) 599 50 77 75
ელ. ფოსტა: office@zkpublishing.ge
ვებგვერდი: <https://zkpublishing.ge/>

საგამომცემლო პრიორიტეტი: თანამედროვე ქართული ლიტერატურა და საბავშვო ილუსტრირებული წიგნები ხელოვნებასა და გარემოს დაცვაზე
საკონტაქტო პირი: თამარ თარხან-მოურავი
ელ. ფოსტა: kataeditorial@gmail.com
ვებგვერდი: <https://www.facebook.com/KataStropa/>

ზვიად კორძაძის გამომცემლობა დაფუძნდა 2014 წელს და იგი უზრუნველყოფს იურიდიული ლიტერატურის გამოცემას. 2016 წელს გამოქვეყნდა წიგნი, რომელიც ეხებოდა 1921 წლის კონსტიტუციის მიღებას და მასთან დაკავშირებულ დისკუსიებს (მიეძღვნა 1921 წლის კონსტიტუციის 95 წლისთავს), და სერია – „ქართული სამართლის კლასიკა“, რომლის ორი ტომი გამოიცა და დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში. გამომცემლობას ეკუთვნის პროექტი – „აქრძალული იურიდიული ლიტერატურა“, – რომელიც სერიულია და შედგება თორმეტი წიგნისაგან. აგრეთვე საგამომცემლო ჯგუფმა მოამზადა პროექტი – „ხელნაწერი წიგნი“, რომლის ფარგლებშიც გამოიცა ივანე ჯავახიშვილის ხელნაწერი შრიფტით შექმნილი წიგნი – „ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია“.

ზოლიანი კაბა გახლავთ დამოუკიდებელი გამომცემლობა, რომლის საგამომცემლო პრიორიტეტებია თანამედროვე ქართული ლიტერატურა და საბავშვო ილუსტრირებული წიგნები ხელოვნებასა და გარემოს დაცვაზე.



თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021

საკონტაქტო პირი: ია გეკუა
ტელეფონი: 577 255 591
ელ. ფოსტა: info@tbilisiwbc.ge
ვებგვერდი: <http://tbilisiwbc.ge/>

2021 წლის 23 აპრილიდან, ერთი წლის განმავლობაში, თბილისი UNESCO-ს წიგნის მსოფლიო დედაქალაქი იქნება. პროექტი „წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“, იუნესკოს გენერალურმა კონფერენციამ 2001 წელს დააარსა. პროექტი, ყოველ წელს, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში ხორციელდება. ერთწლიანი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პროფესიული და სახალხო პროგრამებისა და აქტივობების მიზანი, ყველა ასაკის მკითხველში წიგნის კითხვის წახალისება, ასევე, საგამომცემლო, საბიბლიოთეკო, მთარგმნელობითი და სხვა მომიჯნავე სფეროს განვითარების ხელშეწყობაა.



თბილისის იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტი

საკონტაქტო პირი: თეკლე ჩახაია
მისამართი: შარტაგას N41
ტელეფონი: +995322980097; +995 558 55 31 24
ელ. ფოსტა: tiflis@yee.org.tr
ვებგვერდი: <https://tiflis.yee.org.tr/>

თბილისის იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტი 2012 წლიდან საგანმანათლებლო და კულტურულ საქმიანობას ეწევა. ინსტიტუტში დღემდე დაახლოებით 3000-მდე ადამიანმა შეისწავლა თურქული ენა. 2013 წელს თბილისში ინსტიტუტის თაოსნობით დაიწყო პროექტი „ჩემი არჩევანია თურქული ენა“, რომლის ფარგლებშიც ყოველ წელს საშუალოდ 500 მოსწავლე სკოლებში თურქულ ენას შეისწავლის. ინსტიტუტში წელიწადში სამჯერ ტარდება საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული თურქული ენის საკვალიფიკაციო გამოცდა. თურქული ენის მცოდნეები ამ გამოცდის საშუალებით იღებენ თურქული ენის ცოდნის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, რითაც საშუალება ეძლევათ ისწავლონ თურქეთში და იპოვონ სამსახური. განათლების პარალელურად ტარდება კულტურული ღონისძიებები. ყოველ წელს ეწყობა კონცერტები, სიმპოზიუმები, საუბრები, ხალხური ცეკვები, სემინარები, შეჯიბრებები, კინოჩვენებები, გამოფენები, ღია კარის დღეები, ხელოვნების კურსები, სახელოსნო სამუშაოები, თურქულ სამზარეულოსთან დაკავშირებული და სხვა მსგავსი ღონისძიებები, ასევე ინსტიტუტი მონაწილეობას იღებს ადგილობრივ ფესტივალებში, გამოფენა-გაყიდვებსა და სხვა აქტივობებში.



თსუ კლასიკური ფილოლოგიის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრაფიკისტიკის ინსტიტუტი – პროგრამა ლომოსი

საგამომცემლო პრიორიტეტი: კლასიკური
ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია და
ახალი ბერძნული ფილოლოგია
საკონტაქტო პირი: გოჩა კეველიშვილი
მისამართი: ქავჭავაძის გამზირი N13;
თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 25 02 58
ელ. ფოსტა: kevlivili13@gmail.com

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრაფიკისტიკის
ინსტიტუტი, შეიქმნა 1997 წელს ბერძნული
და რომაული ფილოლოგიის სფეროში,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
უკვე არსებული სასწავლო და
სამეცნიერო ქვედანაყოფების
გაერთიანების საფუძველზე. ინსტიტუტის
აკადემიური სექტორი წარმოდგენილია
სამი მიმართულებით: კლასიკური
ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია
და ახალი ბერძნული ფილოლოგია.
ინსტიტუტს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა,
საინფორმაციო და საკონფერენციო
ცენტრები.



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: ჩოლოყაშვილის გამზირი N 3/5;
თბილისი, საქართველო
ტელეფონი: (+995 32) 222 00 09
ელ. ფოსტა: info@iliauni.edu.ge; theo.
kavelashvili@iliauni.edu.ge
ვებგვერდი: <https://iliauni.edu.ge/>

გამომცემლობის მიზანია, ხელი შეუწყოს
უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო,
კვლევითი პროცესების წარმართვას,
რისთვისაც: გამოსცემს უნივერსიტეტის
სამეცნიერო კვლევის შედეგებს;
უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ
სახელმძღვანელოებს; თარგმნის
და გამოსცემს ამა თუ იმ დარგის
საუკეთესო სახელმძღვანელოებსა
და სამეცნიერო ლიტერატურას;
უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს
სასწავლო მასალებით (რიდერებით,
ტესტებით, კითხვარებით და ა. შ.),
ბეჭდავს უნივერსიტეტის საპრეზენტაციო
და სარეკლამო პროდუქციას;
გამომცემლობამ 2006 წლიდან დღემდე
200-ზე მეტი წიგნი, ჟურნალი და
სახელმძღვანელო გამოსცა.



წიგნების მაღაზია „ინგლიშ ბუქ ედუკეიშენ“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ინგლისურენოვანი წიგნები, ინგლისური ენის სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო მასალები
საკონტაქტო პირი: თამაზა შენგელია
მისამართი: დიდი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქ.92 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 32 200 12 42
ელ. ფოსტა: englishbookteam@englishbook.ge
ვებგვერდი: <https://bookshop.ge/>

ჩვენ ვაკავშირებთ სამყაროს წიგნებით, რომლებიც იდეების, ოცნებების და განათლების საწინდარია. ჩვენი წიგნების მაღაზია bookshop.ge წარმოადგენს კომპანია English Book Education-ის ნაწილს, ჩვენ ვმოღვაწეობთ ერთ-ერთ ყველაზე კრეატიულ სექტორში, ვამაყობთ ჩვენი წარსულით და ამბიციურად გუყურებთ მომავალს. [Bookshop.ge](https://bookshop.ge) – მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურის მიმართულებით თანამშრომლობს შემდეგ გამომცემლობებთან: Penguin Random House (გაერთიანებული სამეფო), Penguin Random House (აშშ), Vintage, Hachette, Harper Collins, Scholastic, Pan Macmillan, Bloomsbury და სხვა მრავალი.



გამომცემლობა „ინდიგო“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ჟურნალი ინდიგო
საკონტაქტო პირი: თამარ პაპაგა
უფლებების მენეჯერი: ნატა ძგელიშვილი
მისამართი: ი. გოგებაშვილის N38, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 555 57 45 45
ელ. ფოსტა: info@indigo.com.ge
ვებგვერდი: <https://indigo.com.ge/>

ინდიგო – ახალი დრო. იდეები. ადამიანები გამომცემლობა ინდიგო 2015 წლიდან გამოსცემს ყოველთვიურ კულტურულ-საზოგადოებრივ ჟურნალს „ინდიგო“. წელიწადში ორჯერ გამოსცემს ინგლისურენოვან ესეების, რეპორტაჟებისა და ინტერვიუების კრებულს. ინდიგოს ავტორობით გამოდის სეზონური გამოცემაც მოგზაურთათვის Adventurer. 2018 წლიდან ინდიგომ დაიწყო თანამედროვე ლიტერატურის, ესეისტიკის, ფოტოწიგნებისა და დოკუმენტური პროზის გამოცემაც.



გამომცემლობა „ინტელექტი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: თარგმნილი ლიტერატურა, დოკუმენტური პროზა, სახელმძღვანელოები, აკადემიური, ისტორიული და საბავშვო წიგნები, ღია ბარათები უფლებების მენეჯერი: გვანცა ჯობაგა მისამართი: ქავჭავაძის გამზირი N5; თბილისი, საქართველო
საკონტაქტო პირი: ეთერ ბაიდოშვილი
ტელეფონი: +995 322 25 05 22
ელ. ფოსტა: info@intelekti.ge
ვებგვერდი: https://intelekti.ge/

გამომცემლობა „ინტელექტი“ 1994 წელს დაარსდა. ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და გამორჩეული ორგანიზაციაა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო და საგამომცემლო სივრცეში. სასკოლო სახელმძღვანელოები ქართული და არაქართულენოვანი სკოლებისთვის; კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა; მსოფლიო ლიტერატურის შედეგები და უმნიშვნელოვანესი ავტორები, რომლებსაც პირველად გაეცნო ქართველი მკითხველი; ცნობილი მწერლების დღიურები და ჩანაწერები – ის თემები და პროექტებია, რომლებზეც „ინტელექტი“ ოც წელზე მეტია მუშაობს.

წიგნების სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“

საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ კორტავა
მისამართი: ილია ქავჭავაძის გამზირი №17ბ; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 32 250 02 01
ელ. ფოსტა: iriatoni@gmail.com
ვებგვერდი: https://www.facebook.com/Iriatoni

წიგნების „სადისტრიბუციო კომპანია ირიათონი“ დაარსდა 2013 წელს და მას შემდეგ წარმატებით ავრცელებს ქვეყნის წამყვანი გამომცემლობების („აზრი“, „არეტე“, „არტანუჯი“, „ბუკლი“, „ბიზნესლიტერატურა“, „ბოლიანი კატა“, „ინგლისურენოვანი წიგნები“, „ინტელექტი“, „ლაზარე“, „წიგნები ბათუმში“) წიგნებს მთელი საქართველოს მასშტაბით. სადისტრიბუციო კომპანია „ირიათონი“ წიგნებით ამარაგებს თბილისსა და რეგიონებში არსებულ ყველა მოქმედ წიგნის მაღაზიას.



ი/მ ირინა ღენიძინა

ტელეფონი: +995 593 27-62-37,
+995 593 57-75-36
ელ. ფოსტა: mtania55@yandex.ru

სადისტრიბუციო კომპანია წიგნის
ბაზარზე ფუნქციონირებს 2011 წლიდან.
ორგანიზაცია თანამშრომლობს 20-
ზე მეტ რუსულ გამომცემლობასთან
და ახორციელებს სხვადასხვა ჟანრის
ლიტერატურის იმპორტს საქართველოში,
კერძოდ საბავშვო, მხატვრული,
სასწავლო-საგანმანათლებლო და
სხვა. ორგანიზაცია იღებს შეკვეთებს
ნებისმიერი თემატიკის ლიტერატურაზე.

გამომცემლობა „კლიო“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული,
საბავშვო, სამეცნიერო-პოპულარული,
მემუარული და სხვა სახის ლიტერატურა,
სასკოლო სახელმძღვანელოები
საკონტაქტო პირი: ზაზა ხიდურელი
მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზ. N181
0102, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 34 04 30, +995 599 50 33 76
ელ. ფოსტა: book@klio.ge, kliopublishing@gmail.com
გვებგვერდი: <https://klio.ge/>

გამომცემლობა „კლიო“ დაარსდა 2003
წელს. იგი გთავაზობთ საცნობარო,
მხატვრული, საბავშვო, სამეცნიერო-
პოპულარული, მემუარული და სხვა
სახის ლიტერატურას, აგრეთვე
ეროვნულ ნიადაგზე შექმნილ
უმაღლესი და საშუალო სკოლების
სახელმძღვანელოებს და დამხმარე
სასწავლო ლიტერატურას. ამჟამად
გამომცემლობა ევროკავშირის
პროგრამის „შემოქმედებითი ევროპის“
მხარდაჭერით ახორციელებს პროგრამას
„დაგუახლოვდეთ ლიტერატურულ
ევროპას“, რომლის ფარგლებშიც 2021
წელს ქართულ ენაზე თანამედროვე
ევროპელი მწერლების 9 ნაწარმოები
გამოიცემა.



COSMO

კოსმო – ხელნაკეთი აქსესუარები

მისამართი: დაგით აღმაშენებლის გამზ. N181
0102, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 577 32 74 42
ელ. ფოსტა: cosmo.handmade@gmail.com
ვებგვერდი: <https://cosmo.com.ge/>

ხელნაკეთი აქსესუარების ყველაზე დიდი
კოსმიური სამყარო.

„კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ეთნიკურ
უმცირესობათა კულტურული ძეგლები,
სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: გიორგი ჯავახიძე
მისამართი: გალაკტიონის ქუჩა N20,
თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 032 2 93 50 88, +995 598595059
ელ. ფოსტა: info@caucasianhouse.ge

„კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი –
კავკასიური სახლი“ არის კულტურულსაგან-
მანათლებლო ორგანიზაცია, რომელიც
ემსახურება საქართველოს ტერიტორიაზე
მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების,
განსაკუთრებით კი კავკასიელი ხალხების
კულტურის გავრცელებას ჩვენი ქვეყნის
ტერიტორიაზე. „კავკასიური სახლის“
გამომცემლობას გამოცემული აქვს,
როგორც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე
მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა
კულტურული ძეგლები, სამეცნიერო და
პოპულარული ლიტერატურა, კავკასიისა და
საქართველოს ტერიტორიაზე არსებული
კულტურების შესახებ, ასევე „კავკასიური
სახლის“ გამომცემლობა აქტიურად
აქვეყნებს ქართველ ავტორთა მხატვრულ
შემოქმედებასაც.



გამომცემლობა „მერიდიანი“

საგამომცემლო პრიორიტეტი: სასწავლო, სამეცნიერო, შემეცნებითი, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: კახაბერ რუსიძე; მარინა კილაძე
მისამართი: ყაზბეგის გამზირი N 47, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 39 15 22; +995 599 54 17 07; +995 599 23 51 78
ელ. ფოსტა: meridiani777@gmail.com

გამომცემლობა „მერიდიანი“ დაფუძნდა 1994 წლის 11 მარტს. საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სასწავლო, სამეცნიერო, შემეცნებითი, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურის მომზადება და გამოცემა, ასევე, პერიოდული ჟურნალ-გაზეთების, ორგანიზაციების ინდივიდუალური სატიტულო ფურცლებისა და ფერადი ბლანკების მომზადება-დაბეჭდვა.



გამომცემლობა „მცხეთა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: თარგმნილი ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ნინო ლაფაჩი
უფლებების მენეჯერი: თამარ დგალი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 171, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 555 778 765
ელ. ფოსტა: mtskhetapublishing@gmail.com; nini.laphachi@gmail.com
გებგვერდი: <https://www.facebook.com/mtskhetapublishing>

გამომცემლობა „მცხეთა“ დაარსდა 2018 წელს. გამომცემლობა გთავაზობთ ქართულად თარგმნილ უცხოენოვან ლიტერატურას. თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე გამომცემლობა „მცხეთა“ წარმოგიდგენთ თურქული მხატვრული ლიტერატურის თარგმანებს.



ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა და ლიტერატურული სააგენტო
NODAR DUMBADZE PUBLISHING & LITERARY AGENCY

NINO.GE – ხელნაკეთი სამკაულები და აქსესუარები

ელ. ფოსტა: nino.ge@gmail.com
ვებგვერდი: <http://nino.ge/>

nino.ge-ზე წარმოდგენილი ნივთები ხელნაკეთია და მზადდება მცირე ზომის სახელოსნოში. ჩვენთან იქმნება: მინიატურული წიგნები (ყელსაბამის, სამაჯურის, საკიდის ფორმით), ლეფთრეი (მრავალფუნქციური ნივთი), კინოსა და ლიტერატურის თემაზე შექმნილი მაისურები, კედლის საათები, წიგნის ფორმის ჩანთები, ქვის აქსესუარები (ყელსაბამი, სამაჯური, საკიდი), მედალიონები, ფაზლი, ასევე სამკაულები, სუვენირები და სხვადასხვა დღესასწაულთან დაკავშირებული აქსესუარები.

ნოდარ დუმბაძის გამომცემლობა

საგამომცემლო პრიორიტეტი: ნოდარ დუმბაძის შემოქმედების გამოცემა, თანამედროვე პროზაიკოსებისა და პოეტების გამოცემა და პოპულარიზაცია, უცხოური ლიტერატურის თარგმნა, გამოცემა, პოპულარიზაცია
მისამართი: ფაღიაშვილის N18, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 558171995
ელ. ფოსტა: mariamtsiklauri.60@gmail.com; katiebitsadze@gmail.com

გამომცემლობის პრიორიტეტებია: ნოდარ დუმბაძის შემოქმედების გამოცემა; თანამედროვე პროზაიკოსებისა და პოეტების გამოცემა და პოპულარიზაცია; უცხოური ლიტერატურის თარგმნა, გამოცემა, პოპულარიზაცია; ლიტერატურული ურთიერთობების და მხატვრული თარგმანის ხელშეწყობა. გამომცემლობამ უკვე გამოსცა ნოდარ დუმბაძის რომანები, მოთხრობები, საბავშვო ლექსები, თანამედროვე ქართველი პოეტები. ახორციელებს სერიას „ლიტერატურა საზღვრებს გარეშე“, რომლის ფარგლებში გამოიცა, ებრაელი, შვედი, იტალიელი, უკრაინელი, ლიეტუველი პოეტების კრებულები.



გამომცემლობა პალიტრა L

საგამომცემლო პრიორიტეტი: საბავშვო წიგნები, მხატვრული და დოკუმენტური პროზა
საკონტაქტო პირი: თინა ასათიანი
მისამართი: იოსებძის ქ. N49; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 032 2 38 38 71
ელ. ფოსტა: book@palitra.ge
ვებგვერდი: <https://www.palitra.ge/>

„პალიტრა L“ 2005 წელს დაარსდა მისიით, გაეღრმავებინა წიგნის სიყვარული საზოგადოებაში, დღეს კი საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული გამომცემლობაა, რომელიც წლის განმავლობაში 500-ზე მეტი დასახელების წიგნს გამოსცემს. მსოფლიო კლასიკა, თანამედროვე ბესტსელერები, თინეიჯერული მიმართულება „ლიბერთინსი“, ბიზნეს ლიტერატურა „ლურჯი ოკეანე“, ლიტ. კონკურსი „გახდი ბესტსელერის ავტორი“, ლიტ.კონკურსი „გახდი საბავშვო ბესტსელერის ავტორი“, ასევე პალიტრა L-ს ეკუთვნის აუდიოწიგნების პლატფორმა www.gudabooks.ge. აღსანიშნავია სოციალური პასუხისმგებლობის პროექტი „მაკულიტერატურა“ რომლის მიზანია გარემოზე ზრუნვა. ეს წარმატებული პროექტების მცირე ჩამონათვალია. გამომცემლობა ამყობს, რომ დიდი წვლილი მიუძღვის ქართული წიგნის განვითარებაში, საოჯახო ბიბლიოთეკების შექმნასა და ახალი თაობის წიგნით დაინტერესებაში.



წიგნის მაღაზია „პარნასი“

საკონტაქტო პირი: გიორგი დარსალია
მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ 22, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 032 250 255
ელ. ფოსტა: info@parnasi.ge

პარნასი არის ერთ-ერთი პირველი წიგნის მაღაზია თბილისში, რომელიც 2002 წელს დაარსდა. პარნასი გთავაზობთ არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიოს წამყვანი გამომცემლობების მიერ გამოცემულ წიგნებს ყველა ენასა და ყველა თემაზე, ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის, პარნასში შეგიძლიათ შეიძინოთ ან შეუკვეთოთ, როგორც მხატვრული, ასევე სამეცნიერო ლიტერატურა (მხატვრობა, არქიტექტურა, დიზაინი, სამედიცინო, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ბიზნესი, ზუსტი მეცნიერებები და ა.შ.)



სათამაშოების მაღაზია „ქეპელა“

საკონტაქტო პირი: გუსა დედანაშვილი
მისამართი: იოსებძის N49, თბილისი,
საქართველო
ტელეფონი: 577273111
ელ. ფოსტა: marketing@pepela.ge
ვებგვერდი: <http://www.pepela.ge/>

სათამაშოების მაღაზიათა ქსელი პეპელა 2006 წ. დაარსდა და უკვე 12 წელია, რაც საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ფუნქციონირებს. ამჟამად, „პეპელა“ სათამაშოების ბიზნეს სექტორში ერთ-ერთი მსხვილი და წარმატებული კომპანიაა. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს როგორც ევროპული, ასევე საერთაშორისო ბრენდების ფართო ასორტიმენტს, რომელიც გათვლილია ყველა ასაკის ბავშვისთვის. პეპელას სათამაშოები ევროკავშირის სტანდარტებს აკმაყოფილებს, მათ შორის EN71-ს, რაც სათამაშოების ხარისხის ყველაზე მკაცრ შემოწმებას გულისხმობს.

გამომცემლობა „პოეზია“

საგამომცემლო პრიორიტეტი: ქართული პოეზიის თარგმნა უცხოურ ენებზე და უცხოური პოეზიისა და პუბლიცისტიკის თარგმნა ქართულად
საკონტაქტო პირი: ნატო ალხაზიშვილი
უფლებების მენეჯერი: ნატო ალხაზიშვილი
მისამართი: ყიფშიძის ქ. N2; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 599 53 78 87
ელ. ფოსტა: nalhazishvili@poeziapress.org
ვებგვერდი: <https://www.facebook.com/PoeziaPress/>

გამომცემლობა „პოეზიამ“ საქმიანობა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ინგლისური თარგმანის გამოცემით დაიწყო (მთარგმნელი – ლინ კოფინი). 2016 წელს ამ თარგმანმა ქართული ლიტერატურის საუკეთესო თარგმანის ნომინაციაში პრემია „საბა“ დაიმსახურა. ბოლო წლებში „პოეზია“ აქტიურად თარგმნის და გამოსცემს ინგლისურენოვან დოკუმენტურ პროზას მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის ნაკლებად ცნობილი ასპექტების შესახებ.



READERSLAND.GE

საკონტაქტო პირი: მარიამ სანაია
მისამართი: იოსებოძის ქ. N49; თბილისი,
საქართველო
ტელეფონი: 598822301
ელ. ფოსტა: books@hotsale.ge
ვებგვერდი: <https://www.readersland.ge/>

Readersland.ge არის „პალიტრა მედია ჰოლდინგის“ შვილობილი კომპანია, რომელიც 2013 წელს შეიქმნა. ვებ გვერდზე შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნები 80%-მდე ფასდაკლებით. საიტზე არის ფართო არჩევანი – სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურა ნებისმიერი ასაკის მკითხველისთვის, მათ შორის „ბესტსელერები“ და უახლესი გამოცემები. ვებ გვერდზე წიგნის შეძენა ძალიან კომფორტული და მოსახერხებელია. ასევე, მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს საკურიერო მომსახურებით მთელი საქართველოს მასშტაბით. ჩვენი პარტნიორები არიან საქართველოს წამყვანი გამომცემლობები, რომლებიც მომხმარებელს Readersland.ge-ს დახმარებით წიგნებს დიდი დანაზოგით სთავაზობენ.



საგა – საქართველოს
აკადემიური გამომცემლობა

საგამომცემლო პრიორიტეტი:
მხატვრული ლიტერატურა, სამეცნიერო
ლიტერატურა, დამხმარე მასალები სკოლის
მასწავლებლებისთვის
საკონტაქტო პირი: თამარა ნაჭყებია
უფლებების მენეჯერი: თამარა ნაჭყებია
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. 181-2, თბილისი
ტელეფონი: 599 17 38 85
ელ. ფოსტა: pressacademic@gmail.com
ვებგვერდი: <https://apgeorgia.com/>

საგა — საქართველოს აკადემიური გამომცემლობა დაარსდა 2015 წელს. გამოსცემს საბავშვო ლიტერატურას, საგანმანათლებლო და პროფესიულ ლიტერატურას, მხატვრულ, როგორც ქართველი ავტორების, ასევე თარგმნილ ლიტერატურას. გამომცემლობას მოპოვებული აქვს სხვადასხვა მთარგმნელობითი გრანტი: თურქეთის, ნორვეგიის, რუსეთის, ისლანდიის, უელსის, პოლონეთის, პორტუგალიის და სხვა. გამომცემლობის პროექტმა „ვისაუბროთ კულტურულ მემკვიდრეობაზე“ მოიპოვა „კრეატიული ევროპის – საქართველო“ დაფინანსება. პროექტის მიზანი იყო ინტერაქტიული რუკის შექმნა, რომელშიც ჩართული იყო 70-მდე საჯარო სკოლა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან. აღნიშნული პროექტი გაიგზავნა ამერიკაში – MARKETING EFFECTIVENESS AWARD (MEA), რისთვისაც გამომცემლობამ მიიღო საერთაშორისო აღიარება და ჯილდო. გამომცემლობის ვებ-გვერდიდან შესაძლებელია გამომცემლობის წიგნების ონლაინ შეძენა.



საქართველოს უნივერსიტეტი

საქწიგნი

საგამომცემლო პრიორიტეტი: დარგობრივი სახელმძღვანელოები, მხატვრული და საბავშვო ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ჯულიეტა ანდლულაძე
უფლებების მენეჯერი: ჯულიეტა ანდლულაძე
მისამართი: მ. კოსტავას ქუჩა 77ა, თბილისი, 0171, საქართველო
ტელეფონი: 2 55 22 22
ელ.ფოსტა: info@ug.edu.ge
ვებგვერდი: <https://www.ug.edu.ge/>

საკონტაქტო პირი: ლია მეტრეველი
მისამართი: თამარ მეფის გამზირი N14; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 322 96 90 70
ელ.ფოსტა: saqwigni@yahoo.com

საქართველოს უნივერსიტეტი 2004 წელს დაფუძნდა, პროფესორების, მანანა სანაძისა და გიული ალასანიას მიერ, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა. სხვადასხვა დისციპლინებში საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შემდგომ, 2007 წლიდან საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა იწოდება საქართველოს უნივერსიტეტად. ამჟამად, უნივერსიტეტი ახორციელებს 50-ზე მეტ აკადემიურ პროგრამას სწავლების ყველა საფეხურზე (საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი და სადოქტორო), სადაც სწავლობს 6000-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტი. პროგრამები ხორციელდება როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენაზე.

შპს „საქწიგნი“ წიგნის სფეროში 1932 წლიდან მოღვაწეობს. ორგანიზაცია სტაბილურად განაგრძობს განვითარებას. მისი საქმიანობა მოიცავს საგამომცემლო, სავაჭრო და სადისტრიბუციო სფეროებს. ორგანიზაციას აქვს მაღაზიების ქსელი როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.



სეზანი – საგამომცემლო სახლი

საკონტაქტო პირი: ირინა შავერდაშვილი
 მისამართი: წერეთლის გამზირი N 140;
 თბილისი, საქართველო
 ტელეფონი +995 322 35 70 02; +995 599 67 77 56
 ელ.ფოსტა: irinacezanne@gmail.com;
 mananakartozia@yahoo.com
 გვებგვერდი: <https://www.facebook.com/CezanneLtd>

„სეზანი“ სახელოვანი გერმანული ფირმის „ჰაიდელბერგის“ პარტნიორი საწარმოა და ევროპულ ხარისხს ამკვიდრებს ქართულ ბაზარზე. მისი საგამომცემლო ჯგუფი ცდილობს სტამბის საიმიჯო გამოცემებშიც შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტს, სულისკვეთება კი ეროვნული ჰქონდეს. ამის დასტურია სერიები: „ჩვენ და „ვეფხისტყაოსანი“, დაიბადა საქართველოში“, „ქებათა ქება სპორტს“, „მწერლობანა“. 2021 წელს გთავაზობთ ახალ სერიას: „ბავშვობის თანამგზავრები“; მანანა კარტოზია – „სიხარულის ჯაჭვი“, „სიყვარულის დღე, მამაშვილობა“, „სად ხვდება ადამიანი ღმერთს?“, „იმედი“, „ოჯახის მემკვიდრე“, „შუქურის დარაჯი – ნიკა ცისკარიძე“; მაკა ლდოკონენი – „ჯადოსნური სიტყვები“, ვასო გულეური, „დინოზავრიდან კომპიუტერამდე“, ლელა ცუცქერიძე, „კარგი დღე“, მარიამ წიკლაური, ნათია ჯანაშია, მანანა კარტოზია, „ვინ გინდა გამოხვიდე?“, ლიზა ფირცხალავა, კომიქსი „პაექრობა წინაპრებთან“, აკაკი წერეთელი „გამზრდელი“. ეს სრული ჩამონათვალი არ გახლავთ, სერიაზე მუშაობა გრძელდება.



სულაკაურის
გამომცემლობა

სულაკაურის გამომცემლობა

საგამომცემლო პრიორიტეტი: თანამედროვე ქართული და უცხოური პროზა, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, საგანმანათლებლო და დარგობრივი ლიტერატურა
 მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი N150;
 თბილისი, საქართველო
 უფლებების მენეჯერი: მაკა შულაია (m.shulaia@sulakauri.ge)
 საკონტაქტო პირი: შორენა შენგელაია
 ტელეფონი: +995 322 91 09 54; +995 322 91 11 65
 ელ.ფოსტა: info@sulakauri.ge
 გვებგვერდი: <https://www.sulakauri.ge/>

„სულაკაურის გამომცემლობა“ დაარსდა 1999 წელს. თავდაპირველად ის თანამედროვე ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების გამოცემაზე იყო ორიენტირებული. დროთა განმავლობაში სულაკაურის გამომცემლობის საგამომცემლო პრიორიტეტები გაფართოვდა და პატარა ოჯახური ტიპის გამომცემლობიდან საქართველოს წამყვან გამომცემლობად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის საგამომცემლო საქმიანობის განვითარებაში. ამჟამად საგამომცემლო პრიორიტეტებია: თანამედროვე ქართული და უცხოური პროზა, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, საგანმანათლებლო და დარგობრივი ლიტერატურა.



სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი



სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

ქართული მედი

საგამომცემლო პრიორიტეტი: სამართალი,
თეოლოგია, ფილოსოფია, სამეცნიერო
ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ნანა ფაილოძე
უფლებების მენეჯერი: თამაზ თავართქილაძე
მისამართი: კ. ქუთათელაძის ქ. N3; თბილისი,
საქართველო
ტელეფონი: 557975869
ელ.ფოსტა: sabaunipress@sabauni.edu.ge
ვებ-გვერდი: <https://sabauni.edu.ge/>

საგამომცემლო პრიორიტეტი: საბავშვო და
სასაჩუქრე წიგნები
საკონტაქტო პირი: ზურაბ კბილაძე
უფლებების მენეჯერი: ზურაბ კბილაძე
ტელეფონი: 032 2 04 08 68
ვებგვერდი: <https://cutt.ly/0nEUXYd>

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
2001 წელს დაარსდა. დაარსებიდანვე დაიწყო
აქტიური საგამომცემლო საქმიანობა, რომელიც
უმთავრესად ორიენტირებული იყო თეოლოგიური,
ფილოსოფიური, სახელოვნებო და ზოგადად
ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულების
ლიტერატურის გამოცემაზე. წლების განმავლობაში
საგამომცემლო საქმიანობა გაფართოვდა
სამართლის, პოლიტიკის, საერთაშორისო
ურთიერთობების მიმართულებით. დღესდღეობით
სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების
სფეროში საბაუნის გამომცემლობა ერთ-
ერთი გამორჩეულია როგორც ორიგინალური
ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის
გამოცემით, ისე კლასიკური წიგნების ქართულ
ენაზე თარგმნით.



ქარჩხაძის გამომცემლობა

საგამომცემლო პრიორიტეტი: ჯემალ ქარჩხაძის წიგნები, საბავშვო წიგნები, ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის მაღალპოლიგრაფიული, ილუსტრირებული გამოცემები, თანამედროვე უცხოური პროზა
საკონტაქტო პირი: გიორგი ქარჩხაძე
უფლებების მენეჯერი: გიორგი ქარჩხაძე
მისამართი: ვაჟა-ფშაველას VII კვ, N17/6, თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: guja@karchkhadze.ge
ვებგვერდი: <http://karchkhadze.ge/>

ქარჩხაძის გამომცემლობა 2004 წლიდან მუშაობს ქართული წიგნის ბაზარზე და ამ ხნის განმავლობაში მოიპოვა მყარი რეპუტაცია, როგორც საბავშვო შემეცნებითი და მხატვრული წიგნების ერთ-ერთმა წამყვანმა გამომცემლობამ. გამომცემლობა წარმოდგენილია ჯემალ ქარჩხაძის წიგნების გარეშე. გარდა საბავშვო წიგნებისა, გამომცემლობა ბოლო წლებში ახალი მიმართულებით მუშაობს: ესაა ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის მაღალპოლიგრაფიული, უხვად ილუსტრირებული გამოცემები.



წიგნის მაღაზია „შაქრო ბაბუა“

საგამომცემლო პრიორიტეტი: მხატვრული და არამხატვრული ლიტერატურა
საკონტაქტო პირი: ნინო კაციაშვილი
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი N17ბ, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 032 247 55 35
ელ.ფოსტა: info@shaqrobabua.ge
ვებგვერდი: <https://shaqrobabua.ge/>

წიგნის მაღაზიაში ფართოდ არის წარმოდგენილი საქართველოში არსებული გამომცემლობების წიგნები. ძირითადად მოიცავს 2000 წლიდან ამ დრომდე გამოცემულ ლიტერატურას, როგორც მხატვრულს, ისე სამეცნიეროს. ამასთან ერთად, წარმოდგენილია ლიტერატურა სხვადასხვა ენებზე, მათ შორის ეროვნული უმცირესობების (აზერბაიჯანული) ენაზე. წიგნის მაღაზია თავის სივრცეში ორგანიზებას უწევს მრავალ ქართველ და უცხოელ ავტორთან შეხვედრას, საჭარო ლექციას თუ წიგნის პრეზენტაციას.



გამომცემლობა „შემეტსნება“

საგამომცემლო პრიორიტეტი: საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, კლასიკური, თანამედროვე პროზა და პოეზია, სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო დანიშნულების თვალსაჩინოებები და დიდაქტიკური მასალები
საკონტაქტო პირი: ლია შალვაშვილი
მისამართი: ა. ანტონოვსკაიას ქ. N9 ბ; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 32 260 23 15; +995 599 550 554
ელ.ფოსტა: info@shemetsneba.ge
ვებგვერდი: <https://www.shemetsneba.ge/>

გამომცემლობა „შემეტსნება“ 2005 წელს დაფუძნდა და უკვე მე-16 წელია კულტურის, განათლებისა და ლიტერატურის სამსახურშია. გამომცემლობის შექმნის იდეა 2004 წელს ფრანკფურტში დაიბადა. დროთა განმავლობაში გამომცემლობა „შემეტსნება“ გაფართოვდა. ჩვენი გამომცემლობის გრიფით 200-ზე მეტი დასახელების გამოცემა განხორციელდა, რომელიც განსხვავებული გემოვნების მკითხველზეა გათვლილი. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საბავშვო წიგნები, რომელთა საავტორო უფლებებიც გაყიდულია რამდენიმე ქვეყანაში. ამჟამად ძირითადი საგამომცემლო პრიორიტეტებია: საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, კლასიკური, თანამედროვე პროზა და პოეზია, სასკოლო სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო დანიშნულების თვალსაჩინოებები და დიდაქტიკური მასალები. გამომცემლობა შემეტსნება საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის აქტიური წევრია. მონაწილეობას იღებს წიგნის ყოველწლიურ ბაზრობებსა და ფესტივალებზე, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.



გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“

საკონტაქტო პირი: მარიამ კორინთელი
მისამართი: ი. ნიკოლაძის N5ა; თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 555 64 08 87
ელ.ფოსტა: booksinbatumi@gmail.com;
mariam_korinteli@yahoo.com

გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ 2015 წელს დაარსდა. სამი წლის განმავლობაში გამომცემლობაში ორასზე მეტი დასახელების წიგნი გამოიცა. სხვადასხვა ჟანრისა და შინაარსის სერიები ათეულობით ბესტსელერ წიგნებს აერთიანებს. ადგილობრივ წიგნის ბაზარზე გამომცემლობა გამოირჩევა ფენტეზისა და ფანტასტიკის ჟანრის თარგმანების სიმრავლით. გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქართველ ავტორებს და უკვე გამოცემული აქვს მრავალი ავტორის შემოქმედება. გამომცემლობის წიგნები გამოირჩევა ყდის განსაკუთრებული დიზაინითა და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით.



გამომცემლობა „წიგნი+ერი“

საკონტაქტო პირი: მზია რაზმაძე
მისამართი: ც.დადიანის 7, საგაჭრო
ცენტრი ქარგასლა, A517 ოთახი, თბილისი,
საქართველო ტელეფონი: +995 571 13 12 11
ელ.ფოსტა: contact@tsignieri.ge;
mzia_r@yahoo.com
ვებგვერდი: <http://books.tsignieri.ge/>

გამომცემლობა „წიგნი+ერი“ დაარსდა 2012 წლის აპრილში, მისი დამფუძნებელია პაატა ხუნაშვილი. „წიგნი+ერი“ გამოსცემს სამეცნიეროპოპულარული და საგანმანათლებლო ხასიათის ლიტერატურას ყველა თაობისათვის. გამოცემულია, მრავალტომეული „წიგნი ღირსებანი“, რომელშიც საქართველოს სულიერი და მატერიალური ფასეულობებია ასახული. ორ ენაზე (ქართულ-ინგლისური) გამოცემული ვაჟა-ფშაველას მოთხრობები, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“, „საქართველოს თევზები“. ასევე გამოიცა სასკოლო ენციკლოპედია, ქართული, უცხოური ზღაპრები. კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც გამომცემლობა ავითარებს, ფსიქოლოგიაა.



წიგნის საყარო – წიგნის გამავრცელებელთა კომპანია

საკონტაქტო პირი: ირაკლი სებისკვერაძე
უფლებების მენეჯერი: სოფო კურტანიძე
მისამართი: დიღომი, კრისტიან სტივენის N38,
თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 551312227
ელ.ფოსტა: sopo@bookland.ge
ვებგვერდი: <https://bookland.ge/>

კომპანია დაარსდა 2005 წელს და დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით, წიგნებითა და სხვა პროდუქციით, 200 -მდე წიგნის მაღაზიას და 90-ზე მეტ სხვადასხვა პროფილის მქონე საგაჭრო ობიექტს ამარაგებს; გარდა ამისა, 2007 წლიდან წარმატებით აწარმოებს პროდუქციის რეალიზაციას ინტერნეტ-მაღაზიის მეშვეობით. წიგნის რეალიზაციის მსურველებს, წიგნის მაღაზიებს, სუპერმარკეტებს, საკანცელარიო მაღაზიებსა და სხვა საცალო საგაჭრო წერტილების მქონე პირებს, კომპანია სთავაზობს წიგნებით სწრაფ და ეფექტურ მომარაგებას.

რეცენზია

- **სიკვდილის კულტურა**
ავტორი: ანი დიდიშვილი
- **სამანთა შვაბლინის ლიტერატურული
ცნობ-ცხელა**
ავტორი: თამარ ზოიძე
- **იუველ ნოა ჰარარი – „კაცობრიობის მოკლე
ისტორია“**
ავტორი: ია გელიტაშვილი
- **„შაშვი შაშვი მაყვალი“ – თამთა გელაშვილი**
ავტორი: მანანა ერეკლეშვილი
- **„კირკე“ – არს მიწისა და არს ცისა**
ავტორი: მარიამ მახარაძე

დანიელ ვისერი

მთის დედოფალი

დანიელ ვისერი

მთის დედოფალი

გერმანულიდან თარგმნა
მზია ბაღდაძემ

გამომცემლობა „ინტელექტი“

„არავის გამოვუწერ სასიკვდილო წამალს ან მივცემ მას სასიკვდილო რჩევას, რათა მდგომარეობა შევუმსუბუქო“, – ჰიპოკრატე ევთანაზიას ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3-4 ასეული წლით ადრე, საკუთარ ფიცში ახსენებს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, თან იმდენმა და იმხელებმა, რომ მთვარეზეც კი მოვახერხეთ ფეხის დადგმა, მაგრამ ევთანაზიაზე კონსენსუსი, როგორც ჩანს, ბევრად უფრო დაუძლეველი ამბავია კაცობრიობისთვის, რადგან ამ დროს ერთმანეთს ეჯახება ერთი მხრივ სიცოცხლის და მეორე მხრივ – პირადი ცხოვრების განკარგვის უფლება.

საქართველოს კონსტიტუცია სიცოცხლის უფლებას მე-15 მუხლით იცავს: „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“. სიცოცხლე რომ აბსოლუტური უფლებაა, ამაზე ყველა თანხმდება, თუმცა მოიცავს თუ არა სიცოცხლის უფლება სიკვდილის უფლებას, საკითხავი აი, ეს არის!

1984 წლის ალკმაარის საქმე: 95 წლის მოხუცი პაციენტი ხშირად კარგავდა გონებას, რადგან არ შეეძლო საკვებისა და სითხის მიღება. მან ექიმს მოსთხოვა ევთანაზიის გაკეთება, რის საპასუხოდაც ექიმმა გამართა კონსილიუმი, სადაც დადგინდა, რომ პაციენტს გამოჯანმრთელების შე-

საძლებლობა არ ჰქონდა. მან შეასრულა მოხუცის თხოვნა, თუმცა ევთანაზიის გამოყენების შემდეგ ის გაასამართლეს. აპელაციის შედეგად უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ექიმი დადგა კონფლიქტის წინაშე: მას უნდა შეენარჩუნებინა ადამიანის სიცოცხლე ან გაეთავისუფლებინა ის ფიზიკური ტანჯვისგან. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ექიმმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

დანიელ ვისერის „მთის დედოფალი“ ევთანაზიის თემას ეხმიანება და თხრობის უნიკალური მანერით გადმოსცემს რობერტ ტურინის ცხოვრების ქრონიკებს მზრუნველობის სახლში – 45 წლის რობერტ ტურინი თავისი ნებით ცხოვრობს დაწესებულებაში. გარესამყაროსგან სრული იზოლირებისა და ავადმყოფობის მიუხედავად, საკუთარ იდენტობას არ ღალატობს – ისევ ძველებურად უყვარს სასმელი, ენამახვილობა და ფლირტი. ტურინს გაანალიზებული აქვს თავისი როგორც ამჟამინდელი, ისე მომავალი მდგომარეობა და ფიქრობს, რომ გადარჩენის ერთადერთი გზა ევთანაზიაა. სიცოცხლის დასრულების უამრავი ხერხი არსებობს, თუმცა, რატომ არ შეიძლება ერთ-ერთი მათგანი კანონიერი, უმტკივნეულო და ამავედროულად წყნარიც იყოს?!

„მთის დედოფალში“ თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, ტურინი თავად გვიყვება საკუთარ ამბებს და მისი თვალეზით აღქმული გარემო წიგნის დასაწყისშივე რადიკალური და მკაფიოა:

„საკმარისია, ბატონმა ტურინმა საკუთარ სხეულს დახედოს, რომ მისთვის მაშინვე ცხადი ხდება, როგორი დაუნდობელია ბუნება. ვის უნდა დააბრალოს, თუ არა ბუნებას, რომ 45 წლის მამაკაცს, სხეული რომ 65-ისას მიუგავს, 85 წლის მოხუცივითაც კი არ შეუძლია სიარული“.

ტურინის დამოკიდებულება ცხოვრებისადმი არაა უაზროდ ტრაგიკული, პირიქით, ზედმეტად რეალისტურიც კია – მან იცის, რომ მისი ცხოვრება უაზრო და უინტერესოა, ტკივილები უძლიერდება, რცხვენია მედლების, რომელთაც უსიამოვნო საქმის შესრულება უწევთ და აბეზრებს ზოგიერთი მათგანის დამრიგებლური ხასიათი. რა გასაკვირია რომ მას ობიექტურად სურს სიკვდილი და მუდამ ცდილობს შვეიცარიაში მოხვედრას, იქ, სადაც ევთანაზია ნებადართულია.

საზოგადოებრივი ემპათია და სხვისი ჯანსაღი სურვილების პატივისცემა ნაწარმოების მთავარი ღერძია და მარტივად რომ ვთქვათ, წიგნი სწორედ იმაზეა თუ როგორ ცდილობს ერთი ადამიანი

ნებაყოფლობით თქვას უარი იმ სამყაროზე, რომელსაც აღარაფერი აქვს რობერტ ტურინისთვის დარჩენილი. ავტორის მთავარი მოწოდება და პროტაგონისტის ერთადერთი თხოვნა, რომ ვიღაცამ თანაუგრძნოს, მისცეს ტანჯვის დასრულების შესაძლებლობა, სიკვდილისადმი უბრალო ან მომენტალური ობსესია არაა. საზოგადოების პასუხი ტურინის უდიდეს თხოვნაზე, რომელსაც იმაზე მეტჯერ იმეორებს ვიდრე ჰოლდენ კოლფილდი კითხვას „სად მიფრინავენ იხვები, როცა ცენტრალურ პარკში ტბა იყინება?“, ორივე შემთხვევაში ანალოგიურია: ტურინი და ჰოლდენი გიჟები ხომ არ არიან?!

მზრუნველობის სახლში ცხოვრების ერთფეროვანი და მონოტონური რიტმი ცვლის ახლობელ ადამიანებთან კომუნიკაციის ძველებურ ფორმებსაც. კვირაში ერთხელ ტურინს სტუმრობს ულამაზესი ცოლი და ცდილობს ამ შეხვედრისთვის სასაუბრო თემები წინასწარ შეარჩიოს ხოლმე, რათა მის ოთახში უხერხულმა სიჩუმემ არ დაისადგუროს. როცა სათაღარიგოდ შეგროვებული სასაუბრო თემები იწურება „ხანმოკლე“ (იაპონური სიჩუმის კულტურა) ცოლქმრის პანაცეად იქცევა:

„საკმარისია, ბატონმა ტურინმა მოისურვოს, რომელიმე მათგანს აუხსნას, რომ სჭირდება ადამიანი,

რომელიც შვეიცარიაში წაიყვანს, რათა ტურინმა, ბოლოს და ბოლოს, შეძლოს და წერტილი დაუსვას საკუთარ ცხოვრებას, მაშინვე მუნჯდებიან. ...განუმარტავენ, რომ სულიერად ჯანსაღად არის, რომ ძალიან ადრეა და მისთვის სიკვდილის დრო ჯერ არ დამდგარა. ...ტურინმა ხომ YouTube-ის ვიდეოებშიც ნახა, რომ ადამიანები, რომლებიც შვეიცარიაში უმტკივნეულო მოკვდინების მიზნით მიდიან, სრულიად ნორმალური ადამიანებივით გამოიყურებიან“.

და ბოლოს, ტურინის, როგორც მარტოხელა ადამიანის ცხოვრებაში არსებობს წარმოსახვითი მეგობარი, კატა სახელად დუკაკისი, რომელიც მის ყოველდღიურობას უფრო მრავალფეროვანს ხდის. ყველას, ვინც ამ კატის არსებობას იგებს, ეჭვი შეაქვს ტურინის საღ გონებაში და დუკაკისი მათ თვალში გაფანტული სკლეროზის ანდერძია. წარმოსახვითი მეგობრის, როგორც თანამზრახველის (პარტნერ ინ კრიმე – თითქმის ქართული არ გვყოფნის) არსებობა საერთოდ არაა გაფანტული სკლეროზის ერთ-ერთი ნიშანი. პროტაგონისტს სჭირდება მეგობარი, სახე, რომელიც ახლობელია, მას კარგად იცნობს, დაცლილია პერსონალურობისგან და ტურინს აძლევს იმპროვიზაციის, საკუთარი გემოვნებით სხვისი ჩამოყალიბების საშუალებას.



სამანტა შვებლინი

„უსაფრთხო მანძილი“

მთარგმნელი:
თამარ ლიშაშვა

სულაკაურის გამომცემლობა

წიგნის ეფექტური დასაწყისის განსაზღვრა რთული ამოცანაა, მაგრამ თუ სამანტა შვებლინის რომანს უსაფრთხო მანძილი გადაშლი, აუხსნელად იგრძნობ, მაინც როგორია ჩამთრევი დასაწყისი: მას ველარ მოწყდები და მხოლოდ გვიან თუ მიხვდები, რამდენად ღრმად შეტოპე.

როგორც ამბობენ ხოლმე, უსაფრთხო მანძილი თხელტანიანი რომანია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთი ამოსუნთქვით იკითხება. არა, რთული და დამლღელი საკითხავი ნამდვილად არ არის, მაგრამ მწერლის ნაამბობის, წიგნში აღწერილი ისტორიის მისაღებად და გადასახარშად გარკვეული დრო და ენერგია საჭირო. ამიტომაც ვერ წაიკითხავ მას ერთი ამოსუნთქვით: სხეული ხშირად მოგთხოვს ღრმად ჩასუნთქვას, რათა მიღებული ემოციებთან გამკლავება შეძლო.

მიუხედავად იმისა, რომ სამანტა შვებლინის ენა საკმაოდ სადაა

და არც გადატვირთული მხატვრულობით გამოირჩევა, თავისი წერის სტილით, თხრობის ტემპით მაინც მაშინვე აჯადოებს მკითხველს. მართალია, ღრმა წყალივით შეიძლება შეტოპო მის ნაამბობში, მაგრამ ნაპირზე გამობრუნებაც მოგიწევს ხოლმე: წარამარა შეიძლება დაუბრუნდე უკვე წაკითხულ გვერდებს, რათა მთელი სიუჟეტის, რომელიც უცნაურ პაზოს ჰგავს, აწყობა შეძლო. თუმცა აქედანვე გეტყვით, რომ წიგნის დასრულების შემდეგაც შეიძლება ვერ იპოვოთ თავსატეხის დაკარგული ნაწილები.

ერთი შეხედვით, მთელი რომანის სტრუქტურა ორ პერსონაჟს — ამანდასა და დავიდს შორის გამართული დიალოგია: დავიდი ამანდას მის ცხოვრებაში მოულოდნელად განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გახსენებაში ეხმარება და დროსა და სივრცეში ახლართულ მთხრობელს ამოსავალი წერტი-

ლის პოვნაში ეშველება. ამ პროცესში დავიდი მშრალ, ლაკონიურ მითითებებს გასცემს: „ახლას ხედავ?“, „ამას მნიშვნელობა არ აქვს“, „გააგრძელე“, რითაც მოგონებების ლაბირინთში დაკარგულ ამანდას მიმართულუბას აძლევს, ამავდროულად კი, თითქოს, მკითხველისგანაც ყურადღების მეტად დაძაბვას ითხოვს, რათა არაფერი გამოიჩინოს. თუმცა კითხვის პროცესში ნელ-ნელა ეჭვი გიპყრობს, რომ მათი საუბარი უფრო მონოლოგია: წიგნის სტრუქტურაც რომ არა (ამ ორ პერსონაჟს შორის გამართული საუბარი ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული არ არის), ისე ჩანს, გეგონება ამანდას არა გვერდით მჯდომი დავიდი, არამედ გონების ხმა ელაპარაკებაო. „დრო აღარ არის“ – ყველაზე ხშირად ამას იმეორებს დავიდი და ამანდასთან ერთად შენც სუნთქვა გიჩქარდება, რადგან გრძნობ, რომ წიგნი ისე შემოგეცლება ხელში, უამრავ კითხვაზე პასუხის გაცემას ვერ მოასწრებ. თუმცა ამას ახლა არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.


არგენტინელი მწერლის სამანტა შვებლინის 2014 წელს გამოცემული ეს რომანი ესპანურიდან ქართულად თამარ ლეჟავამ თარგმნა და წიგნს ორიგინალი

სახელწოდება შეუნარჩუნა, თუმცა ინგლისურ თარგმანში მას ცხელებიანი სიზმარი დაარქვეს. ეს ვერსია უკეთ გამოხატავს ამ წიგნის ატმოსფეროს: ალბათ, ერთხელ მაინც ყველა ყოფილა ისეთ სიზმარში, საიდანაც თავის დაღწევას სასოწარკვეთილი ცდილობ და არაფერი გამოადის. სწორედ ასეთ კოშმარში იმყოფება რომანის ნარატორიც, ამანდა, რომელსაც ფიზიკურთან ერთად სულიერი ტკივილები ტანჯავს.

სანაცვლოდ ორიგინალი სახელწოდება უსაფრთხო მანძილი უკეთ ეხმიანება წიგნის ერთ-ერთ მთავარ თემას: მშობლის საერთო შფოთვის, რომ საფრთხისგან შვილის დაცვა ერთხელაც შეიძლება ვეღარ შეძლოს, ამას კი დედა-შვილს შორის არსებული მუდმივი კავშირი, რომელიც ჭიპლარით გადამხული ემბრიონიდან იწყება, მყისიერად გრძნობს. ამის გამო ეს რომანი განსაკუთრებით ახლობელი იქნება ყველა მშობლისთვის. თუმცა ამავდროულად უსაფრთხო მანძილის განცდა უფრო მასშტაბურადაც შეგვიძლია გავიგოთ: სამანტა შვებლინმა აღნიშნა, რომ წიგნის იდეა ნამდვილმა ამბებმა, პესტიციდებით წყლის მოწამვლის ფაქტებმა შთააგონა, რის გამოც არგენტინაში უამრავი ადამიანის,

მათ შორის ბავშვების, ჯანმრთელობა მძიმედ დაზიანდა. ეს კი კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, თუ როგორ დავკარგეთ უსაფრთხო მანძილი ჩვენს მშობლიურ პლანეტასთან: ვწამლავთ ბუნებას და უნებურად ისიც ვეღარ გვიცავს ჩვენ, როგორც ამ რომანის ორმა პერსონაჟმა დედამ ვერ შეძლო ბოლომდე დაეცვა შვილები.

ლათინოამერიკელი მწერლისგან, ალბათ, ბევრი ტრადიციული მაგიური რეალიზმის ელემენტების გამოყენებას ელის, თუმცა სამანტა შვებლინს უფრო მეტად მისტიკა შეამოაქვს თავის ტექსტში, სადაც ყოველდღიური პრობლემები ზებუნებრივ ძალებს ხვდება, რადგან სხვაგვარად, მხოლოდ ადამიანური ძალებით მათთან გამკლავება უკვე შეუძლებელი ხდება. საბოლოოდ კი, ყოველგვარი შემზარავი ურჩხულების, სახიფათო მოჩვენებებისა და ცივისსხლიანი მკვლელების გარეშე, წიგნის ფურცლები ცივი ოფლით იჟლინდება და ჟრუანტელდავლილი კანივით იბურძგლება, რადგან ამ სულ ერთი ციდა რომანში აუხსნელის მიმართ უსახელო შიში ბუდობს.



იუვალ ნოა ჰარარი

„საპიენსი –
კაცობრიობის მოკლე
ისტორია“

მთარგმნელი: ნიკა სამუშია

სულაკაურის გამომცემლობა

იუვალ ნოა ჰარარი 1976 წელს ისრაელში დაიბადა. ჰომო საპიენსი – კაცობრიობის მოკლე ისტორია 2011 წელს ებრაულ ენაზე, 2014 წელს ინგლისურად, ხოლო 2020 წელს ქართულად გამოვიდა, თარგმნა ნიკა სამუშიამ, ზაკურ სულაკაურის გამომცემლობამ სერია აკადემიაში გამოსცა.

იქამდე, სანამ უშუალოდ კაცობრიობის მოკლე ისტორიაზე მოგიყვებოდეთ, გავისხენებ ფროიდსა და ადამიანის სამ, კოსმოლოგიურ, ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ, დარტყმას: თავიდან ადამიანს სწამდა, რომ დედამიწა სამყაროს ცენტრში უძრავად დგას, მზე მთვარე, პლანეტები მის გარშემო მოძრაობენ. ადამიანი ვერ გრძნობდა დედამიწის მოძრაობას, მაგრამ ხედავდა როგორ ჩადიოდა და ამოდიოდა მზე, მთვარე, როგორ ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ ცაზე ვარსკვლავები. იგი თავს ხედავდა იმ წრის ცენტრში, რომელიც სამყაროს მიემართებოდა. ამ ილუზიის დანგრევა ნიკოლაი კოპერნიკის სახელს უკავშირდება, ესაა პირველი, კოსმოლოგიური შეურაცხყოფა ადამიანისთვის.

მეორე ბიოლოგიური შეურაცხყოფა მდგომარეობს ადამიანისა და ცხოველის მსგავსებაში,

რის შესახებაც დარვინის შრომები მოგვითხრობს: ადამიანი არ წარმოადგენს სხვა არაფერსა და უკეთესს თუ არა ცხოველს.

ყველაზე მტკივნეული და მესამე ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა – „მე“ არაა ბატონი საკუთარ სახლში. ქვეცნობიერისა და ცნობიერის მუდმივი ჭიდილი.

აქვე მოვიხმობ კონრად ლორენცის ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომავდინებელ ცოდვას, რადგან ჰარარის მარტივად გადმოცემული იდეები მეტად მარტივად გასაგებია აკადემიურ კონტექსტში, განსაკუთრებით მაშინ თუ ყოველ დილას დაგუსვამთ ჩვენს თავს კითხვას ვართ თუ არა ბედნიერები? ლორენცი ერთ-ერთ ცოდვად კაცობრიობის ინდოქტრინაციასა და გრძნობების გაცივებას ასახელებს, რომელშიც ადამიანის სწრაფ ზრდას მოიაზრებს დედამიწაზე და სიხარულისა და მწუხარების უნარების სწრაფ მონაცვლეობას, როდესაც ადამიანს იმდენად ეშინია მწუხარების, და არ უნდა მისი განცდა რომ ამასთან ერთად სიხარულის უნარიც უქვეითდება. ეს მის სურვილში, აღარ დარჩეს მარტო საკუთარ თავთან, გამოიხატება.

მოცემულ ავტორებზე ყურადღების გამახვილებით გაჩვენებთ,

რომ ჰარარის ტექსტი არ არის რაიმე ახალი, მაგრამ მოცემულია იმდენად მარტივი ენითა და მაგალითებით რომ ნებისმიერი ადამიანისთვის გასაგებია, იმის მიუხედავად აქვს თუ არა ისტორიისა და სამეცნიერო ნაშრომების ცოდნა.

ეს არ არის წიგნი, რომელიც წინასწარი სიუჟეტის გადმოცემით უინტერესო ხდება, რადგან ის თავად ქმნის სიუჟეტს თქვენს თავში, იწყებთ ფიქრს, რომელიც ჭორობაზე მეტია და კითხვების დასმას...

ახლა კი, გადავიდეთ უშუალოდ ჰარარის წიგნზე, რომელშიც ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის სრული ისტორია ჰარარისეული ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი. მას მოჰყავს მაგალითები ფაქტების გასამყარებლად და სვამს მუდმივად კითხვებს, რომელიც ეხება ადამიანის ბედნიერებას, მისი განვითარების ეტაპებს, მის გარშემო არსებულ ცხოვრებასა და თავად მას, რადგან ის არის ის, ვინც კითხვებს პასუხი უნდა გასცეს...

მისი თანამედროვე და მარტივი შედარებები ტექსტს სასიამოვნო საკითხავ მოქნილობას სძენს „როგორც მთავრობა გადაანაწილებს ქვეყნის ბიუჯეტს თავდაცვიდან განათლების სისტემაში, ისევე ნაწილდებოდა ადამიანის ენერგია კუნთებიდან ნეირონებში“.

ადამიანის ცხოვრებაში ცეცხლის გაჩენის მნიშვნელობა და მისი დანთების შესაძლებლობა ნებისმიერი მაშინ არსებული ადამიანისთვის – „ცეცხლის მოშინაურებით ადამიანს მიეცა წვდომა კონტროლირებად და პოტენციურად უშიშრო ენერგიის წყაროზე. არწივისგან განსხვავებით ადამიანს შეეძლო ზუსტად განესაზღვრა სად და როდის დაანთებდა ცეცხლს და ამ რესურსს უამრავ საქმეში იყენებდა. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ცეცხლის ძალა, ადამიანის სხეულის ფორმით, სტრუქტურით ან ღონით არ იზღუდებოდა. ერთ ქალს უბრალო კაჟის ქვით ან ჯოხით მთელი ტყის გადაწვა სულ ერთ საათში შეეძლო. ცეცხლის ათვისებამ სამომავლო სურათი განსაზღვრა“.

ასევე ჰარარი უშვებს, რა მოხდებოდა მაშინ, თუ არ მოხდებოდა ის, რაც მოხდა:

რა მოხდებოდა მაშინ თუ „ჰომო საპიენსთან ერთად ნეანდერტალელები და დენისოვებიც გადარჩენილიყვნენ, რა ტიპის კულტურები, საზოგადოებები და პოლიტიკური სისტემები ჩამოყალიბდებოდა მსოფლიოში, სადაც ადამიანთა რამდენიმე, განსხვავებული სახეობა იცხოვრებდა? რა ფორმით წარმოიქმნებოდა რელიგიები? შერაცხავდა ბიბლია ნეანდერტალელებს ადამ და ევას შთამომავლებად? მოკვდებოდა

იესო დენისოვების ცოდვების გამოსასყიდად? მიუჩნდა ყურანი ადგილს სასუფეველში ყველა პატიოსან ადამიანს, განურჩევლად სახეობისა?“

ჰარარის მიერ წარმოდგენილი ადამიანის შესაძლო გადარჩენა უკავშირდება მის მრავალრიცხოვან ჯგუფებთან თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის უნარს, მის გრძელვადიან გეგმებს, წარმოდგენებს, აზროვნებისა და განვითარების უნარს, ნებას, სინამდვილისა და გამოგონილი ამბების აღრევას, ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს დაპატრონებისა და სხვა სამყაროების დაპყრობის მცდელობას. ადამიანის, როგორც მოცემული სახის მქონეს, გაქრობასა და გადაშენებას. ტექნოლოგიურ და ნებისმიერ პროგრესს, რომელმაც გამოიწვია თუ არა ადამიანის ბედნიერების სურვილის მოკვდინება, რადგან იმდენად ვართ ორიენტირებულები არ ვიცოთ უბედურები – ამის ფონზე შეგვწევს ბედნიერად ყოფნის შესაძლებლობა?

და ბოლოს, როგორ მოვედით აქამდე?...

თუ ადამიანთა ისტორიის გადააზრებასა და ახალი საკვლევი კითხვების გაჩენას ჰარართან ერთად არ შეუშინდებით, მაშინ წინ მშვენიერი მოგზაურობა გელით თქვენსავე ძალიან მოკლე ისტორიაში.



თამთა მელაშვილი

შაშვი შაშვი მაყვალი

სულაგაურის გამომცემლობა

„რა იყო ჩემი ცხოვრება, აბა, მი-
თხარი! წამში გაირბინა. ვინმეს
რომ ეთქვა, აბა, ეთერო, შენი
ცხოვრება მომიყვები, რას მოყ-
ვებოდი? სიბერის გეგმვას? საყ-
ვარელი რომ გავიჩინე ბოლო
დღეებში, ან იქნებ მაგას? სხვის
სამსახურში რომ გავატარე ყმაწ-
ვილქალობა? რას მოყვებოდი?
სხვა რა იყო ჩემი ცხოვრება,
თავგადასავალი?“ – თ. მელა-
შვილი

ვინ არის ქალი? ან იქნებ კითხ-
ვას არასწორად ვსვამთ. იქნებ
ქალი „რა-ობა“ უფრო მეტადაა
ვიდრე „ვინ-ობა“? პიროვნულო-
ბა ხომ ინდივიდის სურვილების,
ოცნებების, ვნებების ერთობლი-
ობას გულისხმობს, მაგრამ რა
ემართება „ქალურობას“ თუ ჩა-
მოთვლილთაგან თითოეული სა-
ზოგადოების ფართო ასპარეზ-
ზე განსჯის საგნად იქცევა და
ნელ-ნელა გაუჩინარების პირას
დადგება. სად გადის ზღვარი
მორჩილებასა და თავისუფლე-
ბას შორის და რა დროს იწყება
ქალური ამბოხი მიყუჩებული
ემოციების გასაცოცხლებლად.

ეთეროს პერსონაჟი თამთა მე-
ლაშვილის რომანიდან „შაშვი,

შაშვი, მაყვალი“ სხვა არაფერია,
თუ არა მიძინებული ქალურო-
ბის გამოღვიძება. განაცრისფ-
რებული ცხოვრებიდან ჭრელ
ყოველდღიურობაში გადანაც-
ვლება, ძიება იმ ავთენტურობისა,
აქამდე მხოლოდ დილით ადგომა
და სხვა ქალებზე ადრე მაყვლის
შესაგროვებლად წასვლა რომ
ეგონა გმირს და ალბათ, ასევე
გაგრძელებოდა, რომ არა წამი
სიკვდილთან მიახლოებისა; მდი-
ნარეში გადავარდნის ტრაგი-
ზმის გაცნობიერება ხდება ის
გარდამტეხი მომენტი ეთეროს
ცხოვრებაში, რომელმაც უბიძგა
შინაგანი ძვრებისკენ. მასში არა
„პარფიუმერიის“ გამყიდველის,
მარტოხელა, ნაპოლეონსა და
ტარხუნის ლიმონათზე შეყვარე-
ბული ადამიანის, არამედ ვნებე-
ბით, ემოციებით აღსავსე ქალის
სახე ილვჩება. ქალი, რომელ-
საც სურს აწ უკვე „სამარეს მი-
ტანებული“ სხეული სექსუალურ
ასპარეზზე გამოცადოს.

სხეული გამბედავი, მეამბოხე
ინსტანციაა, განსხვავებით გო-
ნებისგან. მთელი ტექსტის გან-
მავლობაში ეთეროს ფიქრებს
და შეხედულებებს არა თუ ვერ-
ბალიზებული ფორმით ვეცნო-

ბით, არამედ მისი ჩუმი, შინაგანი ხმები გვესმის, რომელსაც მკითხველის გარდა, მსმენელი არ ჰყავს. ვნებით აღვსილი საკუთარ ემოციებსაც კი ვერ გამოხატავს, იმალება, ვაი, და ვინმემ არ დაინახოს, არ მოუსმინოს, არ მიუხვდეს. მხოლოდ საკუთარ თავთან თუ იქნება გულწრფელი, რადგან სხვა დანარჩენი სამყარო მის მიმართ დაუნდობელია; განა შეიძლება, გაამხილოს გინეკოლოგთან ვიზიტის სურვილი მაშინ, როდესაც ორმოცდარვა წელს მიტანებული შინაბერაა?! განა სრულიად ამორალური ქმედება არაა ქალისთვის სახლში მამაკაცის სტუმრობა, თანაც გვიან ღამით?! ქალმა უნდა იცოდეს, რომ იგი აუცილებლად იქცევა საჯარო განხილვისა და განსჯის ობიექტად.

ეთერომ ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან იცის, თუ როგორი

უმოწყალოა პატრიარქალური იდეოლოგიით შეპყრობილი საზოგადოება. ოჯახი, რომელიც თავშესაფარი უნდა ყოფილიყო დაობლებული ეთეროსთვის, არაფერი აღმოჩნდა, გარდა მოსამსახურედ გადაქცევის საშუალებისა. ჯერ კიდევ სკოლის ასაკში უვლიდა ორ მამაკაცს- მამასა და უფროს ძმას, მათთან მხოლოდ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის მოგონებები აკავშირებს. მამის გარდაცვალების შემდეგ კი მის ცხოვრებაში მამაკაცის ადგილი აღარაა, მხოლოდ საკუთარი თავია. მის ცნობიერებაში კაცი მსახურებასა და ძალადობასთან, დაკარგულ თავისუფლებასთან ასოცირდება. იგი თავად არის საკუთარ სივრცეში დომინანტი და სწორედ ამ დომინანტობის სხვასთან გაზიარების შედეგად დაკარგული დამოუკიდებლობის შიში აიძულებს

პერსონაჟს, უარი თქვას პირად ცხოვრებაზე.

ეთეროს პერსონაჟი ერთიცაა და თან მრავალიც. მისი ამბავი პირადულიცაა და საზოგადოც. უამრავი ქალია ჩვენ გარშემო, რომლებსაც ეთეროს მსგავსად ჩუმი ამბოხი გაუმართავთ საკუთარ თავთან და დამახინჯებულ წარმოდგენებთან. იბრძვიან თავის დამკვიდრებისთვის, ემოციების ხმამალლა გამოთქმისთვის, ცხოვრების გაგრძელებისა და ვნებების ქმედითუნარიანობისთვის, მაშინაც კი, როდესაც პატრიარქალური საზოგადოება უსინდისოდ იმუქრება მართლხელა დედის სტატუსითა თუ განწირული მომავლის ხატებით და აიძულებს ქალს, ეძებოს თავშესაფარი ან იბრძოლოს გადარჩენისთვის.



მადელინ მილერი

კირკე

გამომცემლობა „პალიტრა L“

ათიოდე წლის წინ, როდესაც „სამეფო კარის თამაშების“ პირველ სერიას ვუყურე, დედოფალმა სერსეი ლანისტერმა ჰელიოსის ასული კირკე გამახსენა, რადგან „კირკე“ ინგლისურად წარმოითქმის, როგორც „სერსი“. გულწრფელი ვიქნები თუ გეტყვით, რომ სახელების მსგავსებამ ცოტათი იმედიც კი გამიცრუა. ჩემთვის კირკე უფრო საინტერესო და ამოუცნობი პერსონაჟია, ვიდრე მისი ჯორჯ მარტინისეული სენზია. უცნაური ხასიათის ქალღმერთი, რომელიც ადამიანებს ღორებად აქცევს, ეჭვიანობის ნიადაგზე ქმნის ურჩხულ სცილას და თვით ყველაზე გამორჩეული გმირებიც კი უფრთხიან.

თუ ოქროს საწმისის მითში კირკე, მასავით ძლიერი და იდუმალი ქალის – მედეას ჩრდილშია მოქცეული, „ოდისეაში“ უკვე კარგადაა გამოკვეთილი მისი პერსონაჟი. ლიტერატურის ისტორიაში ყველაზე მოხერხებულსა და ცბიერ ოდისევსსაც კი უჭირს მასთან გამკლავება. შეიძლება ჰომეროსის ნიჭის დამსახურებაცაა რომ აიელი გრძნეულის ისტორიებს საუკუნეების განმავლობაში არ დაუკარგავს აქტუალობა. ამბობენ ბრიტანელი მხატვარი ჯონ უოთერჰაუსი შეპყრობილი იყო კირკეს სახებით. მხატვრის მი-

ერ შექმნილ ყველა ნახატზე განსხვავებულ ქალს ვხედავთ, შურისმაძიებელს, მოწყენილს, მომზიბლავს, სასტიკს. კირკეს მრავალსახეს ვხვდებით წიგნებში, ფილმებში, მხატვრობაში, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კედელზეც კი, თუმცა, მხოლოდ მადელინ მილერმა მოახერხა, რომ მითიური ქალღმერთი ჩემამდე მოიყვანა, ჩემს ახლობელ ადამიანად ექცია, ჩემთვის ნაცნობი ემოციებით და განცდებით.

როგორია 21-ე საუკუნის ქალი მწერლის თვალით დანახული კირკე? პირდაპირ გეტყვით, რომ ისეთი არაა, როგორსაც მანამდე ვიცნობდით. ის კვლავ წარმატებით აქცევს კაცებს ღორებად, ქმნის მითოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე საზარელ ურჩხულს, ძმის მკვლელობის შემდეგ სისხლს და ცოდვას ბანს მედეას, მაგრამ უკვე თანაგრძნობას იწვევს, გულშემატკივართა მთელ არმიას იძენს და, ჩვენდა გასაკვირად, გვინდა, რომ გაიმარჯვოს კიდეც.

საინტერესოა როგორ ახერხებს მითიური პერსონაჟი გაჯეტების ხანის მკითხველთა გულის დაპყრობას? ალბათ იმიტომ რომ ის თავისი დროის ფემინისტია, ფემინისტი იმ გაგებით, რომ იბრძვის

თავისი უფლებებისთვის, ცდილობს იცხოვროს ისე, როგორც მას სურს და არ შეეგუოს არსებულ რეალობას. როცა სანთლის შუქზე ძილის წინ ბებია მითებს მიყვებოდა, მეგონა, რომ ღმერთებს და ქალღმერთებს იმის გაცემება შეეძლოთ, რაც უნდოდათ. თუმცა, ასე არ ყოფილა. ბერძენი ღმერთები ძალიან ჰგვანან ადამიანებს – უყვართ, სტიკვათ, ეჭვიანობენ, უხარიათ და განიცდიან, მოკვდავთა მსგავსად. ასეთია კირკეც. ერთი შეხედვით ყველაფერი აქვს რაც ბედნიერებისთვის საკმარისი უნდა იყოს. ძლიერად მოსილი მზის ღმერთის, ჰელიოსის ქალიშვილია და ოლიმპოზე ცხოვრობს, მაგრამ სხვა ღმერთებისა და ქალღმერთებისგან განსხვავებით არაფრითაა გამორჩეული, რაც მისი გარიყვისა და დაცინვის მიზეზი ხდება. ჩვენი დროის ქალღმერთის ამბავშიც სწორედ ეს მომწონს. არ არის თავიდანვე ძლიერი და იდეალური. არც ისეთი ლამაზია, როგორც აფროდიტე ან არტემიდა, არც განსაკუთრებული უნარები აქვს, მაგრამ თავიდანვე ვგრძნობთ რომ ის დანებებას არ აპირებს.

კირკეც მამის ფეხებთან წოლასა და მოსმენასაა მიჩვეული. ყველაფერს გვიან ხვდება, ეშინია მამის, ვერ ეწინააღმდეგება დედას, ბებიას, და-ძმას, გამუდმებით დაცინვის ობიექტია, მაგრამ დგება მომენტი როცა საკუთარი უნარების შესახებ გაიგებს და

ირწმუნებს. ამ წამიდან მისი შესაძლებლობების ზღვარი იშლება.

ნაწარმოების დასაწყისში ვხედავთ ქალს, რომელიც დასჯილია და მზადაა მღუშარედ მიიღოს სასჯელი, კრთის მზის ღმერთის წინაშე, მაგრამ უნდა, რომ იყვიროს: დიახ, ეს მე ვარ, ვისაც ჯადოქრობა შეუძლია, ვინც ღმერთების ნება შეეცვალე, ვინც მოკვდავი უკვდავად და ქალღმერთი ურჩხულად ვაქციე! მაგრამ არ შეუძლია. ჯერ არა.

კირკეც ბევრი რამ უნდა გამოიაროს, საკუთარ ძალებში უნდა დარწმუნდეს, რომ წლების შემდეგ შეძლოს და ღმერთებს, მათ შორის მამამისს, წინ აღუდგეს და გაბედულად უთხრას: „მე ასე მსურს!“ ძლიერად მოსილ ათენას კი მიუგოს: ცას მხრებით დავიჭერ, რომ ვერაფერი დამაკლო.

ფურცლიდან ფურცელზე მარტოსული, დაბნეული, სუსტი ქალი ჩვენს თვალწინ, დაუღალავი შრომის და საკუთარ თავზე მუშაობის წყალობით, ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პერსონაჟად იქცევა და საწადელსაც აღწევს – პოულობს თავისუფლებას.

ბერძენი მწერლის, ნიკოს კაზანძაკის საფლავის ქვაზე ვხვდებით წარწერას:

„არაფრის იმედი მაქვს, არაფრის მეშინია, თავისუფალი ვარ“. ალბათ, ძალიან ძნელია, მაგრამ შეუძლებელი არ არის თავისუფლების მიღწევა.

თუ არაფრის იმედი მაქვს, ესე იგი შენი თავის ბატონი თავადვე ხარ. ნაწარმოების ბოლოს კირკეც თავისუფალია. მას არ აქვს ღმერთების იმედი, იცის, რომ თუ ოდესმე დახმარების ხელი დასჭირდა, ის მისივე მკლავის ბოლოსაა. რისი უნდა ეშინოდეს ქალს, რომელიც ზღვის ფსკერზე ჩადის ისეთი იარაღის მოსაპოვებლად, რომელიც ზევსსაც კი დაამარცხებს? კირკეც თავისუფალია. თავისუფალი, მიუხედავად გადასახლებისა, რადგან თავისუფლება პირველ რიგში შინაგან თავისუფლებას გულისხმობს.

კაზანძაკის წაკითხვის შემდეგ, ცხოვრების რთულ მომენტებში სულ მახსენდება მისი გმირის, ალექსის ზორბასის საქციელი. როცა ჭექა-ქუხილი და ძლიერი ტალღები მის სახლს დანგრევას უქადდა, ფანჯარასთან მივიდა და ხმამაღლა შესძახა: „ჩემს სახლს ვერ დაანგრევ, ჩემს ცეცხლს ვერ ჩააქრობ, ჩემს სახლში ვერ შემოხვალ!“

ალბათ, ასეთ ძლიერ ადამიანებად არ იბადებიან. ზორბასად და კირკეცდ უნდა გადაიქცე. ამისთვის კი უამრავი თავგადასავალი უნდა გადაგხდეს.

მადელინ მილერის ეს შესანიშნავი ბესტსელერი ფაქტობრივად კირკეცს ოდისეაა. განსხვავება იმაშია, რომ ჩვენი გმირი სახლში არ ბრუნდება, არამედ საკუთარი

თავის ძიებაშია. წიგნში გვხვდება ის ისტორიები, რომლებიც ბევრჯერ მოგვისმენია, წაგვიკითხავს, გვინახავს ნახატებზე თუ კინოში. ზოგი ისტორია შეცვლილია, თუმცა არ გინდა წამოყვრება, რომ ეს ასე არ იყო (ვიცით კი როგორ იყო?). მწერალი კარგად იცნობს ბერძნულ მითოლოგიას და გვაწვდის ვერსიებს, რატომ შეიძლებადა ოლიმპოზე მცხოვრები ქალღმერთს კაცების ღორებად ქცევით შეექცია თავი? იმიტომ, ხომ არა, რომ სასტიკ სამყაროში თავი დაეცვა? შეიძლება ითქვას, რომ ავტორი მაგიური რეალიზმის ელემენტებსაც იყენებს. კარგად იცის, რომ ამბის ძალა არა უშუალოდ ამბავში, არამედ მის გადმოცემაში და ფსიქოლოგიაშია. ის იმდენად რეალურად აღწერს მითიურ ამბებს, რომ მარტივად ვემორჩილებით, მივყვებით და ვიჭყიტებით ოლიმპოს მთაზეც, მინოტავრის ლაბირინთშიც, ზღვის

ფსკერზეც. მთავარ გმირს ყველგან მივყვებით და გვინდა რომ გაიმარჯვოს.

ვფიქრობ, რომ ამ წიგნით მკითხველი სიამოვნებას მიიღებს არა მხოლოდ ძველის ძველი ამბების ახლიდან და ცოტა სხვა, ქალის თვალთ დანახული პერსპექტივის წაკითხვის გამო, არამედ იმიტომაც, რომ ცხოვრების რთულ მომენტებში, როცა ვფიქრობთ რას მოიმოქმედებდნენ ჩვენი საყვარელი პერსონაჟები, გაგვახსენდება აიას გრძნეული და ვიკითხავთ: რას იზამდა ჩემ ადგილას კირკე? ცას მხრებით დაიჭერდა, ყველას წინ აღუდგებოდა.

ერთ ეპიზოდში, ზღვის ურჩხული, ტრიგონი ეუბნება: „არ მოგწონს ეს სამყარო ბავშვო? მაშინ ახალი შექმენი!“

დიხაბც, რომ ახალს შექმნიდა. მას არ მოსწონს ღმერთები. მიაჩნია, რომ მოკვდავებთან უფროა

მისი ადგილი, ვიდრე ოლიმპოზე. უკვირს, როცა ოდისევსის სიტყვები ესმის: „ჯერ არასდროს შეგვხვედრივარ ღმერთს, რომელსაც ასე მოსწონს ღმერთობა“. არც მიწისაა და არც ცის. კუნძულ აიას ჯადოქარია.

ასე, რომ კარგად მოკალათდით, მოემზადეთ ძალიან მარტივი ენით, ახლიდან მოყოლილ უძველესი ამბების კიდევ ერთხელ, ერთი ამოსუნთქვით წასაკითხად. თუმცა, კი ბევრჯერ შეგეკვრებათ სუნთქვა მედეას, აიეტის, კოლხეთის, პასიფას და სხვა ნაცნობი სახელის გაგებისას.

არ აქვს მნიშვნელობა მითოლოგია გიყვართ თუ არა. ვფიქრობ, რომ წიგნი უნდა მოეწონოს მათაც, ვისაც მითოლოგია უყვარს და მწერალს აუცილებლად აპატიებენ კლასიკურ სიუჟეტიდან მეტად ორგანულ გადახვევებს, და მათაც, ვისაც მითოლოგია დიდად არ იტაცებს. ანუ, ყველას.



საქართველოს წიგნის გამომცემელთა
და გაყიდვითა ასოციაცია
GEORGIAN PUBLISHERS AND BOOKSELLERS ASSOCIATION

**ფესტივალის ორგანიზატორის, საქართველოს წიგნის
გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის გუნდი:**

რუსუდან მოსიძე

ასოციაციის თავმჯდომარე

გვანცა ჯობაგა

ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე

თინათინ ბერიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

თამუნა სორდია

ფინანსური მენეჯერი

რუსა ნიკოლაიშვილი

პროექტების მენეჯერი

ნინო წურწუმია

PR მენეჯერი